

01/09/2026



MES 1 26 0001126710

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 17 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85044791183>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სოფიკო ბექირაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ელისო ბარბაქაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მარიამ სულთანაშვილი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნინო ქიტიაშვილი

მარიკა ქიქავა

ნათია მაწკეპლაძე

მაია მსხილაძე

ნანა შათირიშვილი

თეა ნარეკლიშვილი

ბექარ კილასონია

ზურაბ მესხიძე

ალექსანდრე კეკენაძე

შორენა ალაგარდაშვილი

გვანცა ძამაშვილი

ირმა ღარიბაშვილი

აკაკი გურგენიძე

საბა მოდებაძე

ეკა ბუთხუზი

დავით ხუციშვილი

ვალერი ჯაჯანიძე

თემურ სალინაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“

დირექტორის მოადგილე – ია სარაჯიშვილი

ხარისხის მართვის მენეჯერი – ივანე ვარდოშვილი

იურისტი – დარეჯან გულაზიანი

სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი – ნინო ფირანიშვილი

შპს მარნეულის კოლეჯი

მარნეულის კოლეჯის აკადემიური დირექტორი – ნინო გომელაური

მარნეულის კოლეჯის ადმინისტრაციული დირექტორი – სოფიო გომელაური
მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული მენეჯერი – შორენა ალაგარდაშვილი
მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

კოლეჯის დირექტორი – გიორგი გოგიტიძე
დირექტორის მოადგილე – მაია თოიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი – კირთაძე ბიძინა

სსიპ კოლეჯი „ახალ ტალღა“

კოლეჯის დირექტორი – დავით მჭედლიშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი – მედეა მჭედლიშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. „ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის პირველი აგვისტოს N942663 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კონდიტერია“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „კულინარია“ პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს მარნეულის კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯი „ბლექსისთვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“, „კონდიტერია“, „მედიკულება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „გათბობის ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

7. სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ „კულინარია“, „კონდიტერია“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, „ამწის ოპერირება“, „მძიმე ტექნიკის ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: „ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის პირველი აგვისტოს N942663 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

აღნიშნული საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირდა ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ 2026 წლის 7 აგვისტოს №1026489 წერილი, დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობის“ პაკეტი, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები (კრედიტები):

პროგრამის სახელწოდება – „ელექტრობა“;

კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **66** კრედიტი;
კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81** კრედიტი.

დაწესებულებას დირექტორის 2026 წლის 24 ივლისის №01-4/96 ბრძანებით დარეგულირებული აქვს, რომ აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტები სწავლას დაასრულებენ მიღევად რეჟიმში.

აღინიშნა, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს №942663 – 01/08/2025 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის პირველი აგვისტოს N942663 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ

კოლეჯი „პრესტიჟის“ ავტორიზაციის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის პირველი აგვისტოს N942663 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, ცვლილება განხორციელდეს „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 1).

მეორე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კონდიტერია“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „კულინარია“ პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილია მატერიალური რესურსების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები და სასაქონლო ზედნადებები). ვინაიდან აღნიშნული საკითხი მოითხოვს სპეციფიკურ დარგობრივ ცოდნას, თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია შესყიდული რესურსების ადეკვატურობის შესახებ დარგის ექსპერტების შეფასების მოსმენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ქიტიაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტების საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 04 ივნისის N668504 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ კოლეჯში „პრესტიჟი“ პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამების „ადმინისტრაციული სერვისები“, „კონდიტერია“ და „კულინარია“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განახორციელა ვიზიტები კოლეჯში 2026 წლის 29 და 30 ივნისს, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტები წარიმართა კონსტრუქციულ, თანამშრომლობითა და საქმიან გარემოში. ჩატარდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეამოწმა სასწავლო ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების სისტემები. ვიზიტების დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა შედეგები.

აღინიშნა, რომ ხარვეზები არ გამოვლენილა. გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები პროგრამებისთვის „კონდიტერია“ და „კულინარია“.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება (პროგრამა „კულინარია“)

კომპონენტი 2.2.1 – პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ინდიკატორი 2.2.1.1 – პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კულინარია“ სასწავლო გარემო/სამზარეულო ვიზიტის მომენტში არ იყო სრულად უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო სტანდარტითა და მოდულებით განსაზღვრული საჭირო მატერიალური რესურსით, დანადგარებითა და წვრილი ინვენტარით (მათ შორის: მაგიდა-მაცივარი 4 უჯრით, მაგიდა-მაცივარი ორკარიანი, ბოსტნეულისა და კვერცხის დასამუშავებელი ქიმიკატის დოზატორი, მაგიდის ინდუქციური ქურა, ცომსაზღვრი, ელექტრო სასწორი, სახეხები წვრილი ზედაპირით კონტროლისთვის, სხვადასხვა დასახელებისა და ზომის ქვაბები, ტაფები და სხვ.). დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა – დამტკიცებული ბრძანებით N01 – 4/88, 18.06.2026.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „კულინარია“ – მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულფასოვანი მიღწევისა და პრაქტიკული კომპონენტების ეფექტურად განხორციელების მიზნით, კოლეჯმა უზრუნველყოს ვიზიტისას წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის სრული რეალიზება – მასში გაწერილი ყველა მატერიალური რესურსის შესყიდვა და სასწავლო სამზარეულოში ინტეგრირება სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება (პროგრამა „კონდიტერია“)

კომპონენტი 2.2.1 – პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ინდიკატორი 2.2.1.1 – პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კონდიტერია“ სასწავლო გარემო/სამზარეულო ვიზიტის მომენტში არ იყო სრულად უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო სტანდარტითა და მოდულებით განსაზღვრული საჭირო მატერიალური რესურსით, დანადგარებითა და წვრილი ინვენტარით. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა – დამტკიცებული ბრძანებით N01 – 4/88, 18.06.2026.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „კონდიტერია“ – მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულფასოვანი მიღწევისა და პრაქტიკული კომპონენტების ეფექტურად განხორციელების მიზნით, კოლეჯმა უზრუნველყოს ვიზიტისას წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის სრული რეალიზება – მასში გაწერილი ყველა მატერიალური რესურსის შესყიდვა და სასწავლო სამზარეულოში ინტეგრირება სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ადმინისტრაციული სერვისები

პროგრამა შეესაბამება მეოთხე დონეს. მისანიჭებელი კვალიფიკაციაა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი 0413). პროგრამა დამტკიცებულია 2026 წლის 21 მაისის N01-4/69 ბრძანებით, განხორციელდება ქართულ ენაზე, თელავში (ქართული უნივერსიტეტის ქ. N1), რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს, ხოლო კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 70, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 100 კრედიტი.

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის მიხედვით, პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ გეგმას, ეფუძნება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებს. დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დადგენილია შესაბამისი მეთოდოლოგიით, ხოლო პროგრამის პაკეტი, მოდულები და სახელწოდება სრულ თანხვედრაშია ეროვნულ სტანდარტთან. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი და 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობას. მატერიალური, საბიბლიოთეკო და ფინანსური რესურსები სრულადაა მობილიზებული, უზრუნველყოფილია წვდომა სსსმ პირთათვის. სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური, ობიექტური, მოიცავს შიდა ვერიფიკაციის სამეტაპიან მექანიზმს, მონაცემთა 3 წლით შენახვის წესს და გამოიყენება სტუდენტთა განვითარებისთვის. კოლეჯი სრულად ეთანხმება დასკვნაში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებებს. პროგრამა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – კონდიტერია

პროგრამა „კონდიტერია“ შეესაბამება მეოთხე დონეს, მისანიჭებელი კვალიფიკაციაა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი 1013). პროგრამა დამტკიცებულია 2026 წლის 21 მაისის N01-4/71 ბრძანებით, სწავლების ენაა ქართული, განხორციელების მისამართია თელავი (ქართული უნივერსიტეტის ქ. N1), ხოლო სწავლების ფორმაა იმიტირებული სამუშაო გარემო. მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 90, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 120 კრედიტი. პროგრამაში გათვალისწინებულია 1 არჩევითი მოდული („პრაქტიკული პროექტი – კონდიტერია“). კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებისას, კომპონენტი 2.1 („საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება“) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. ექსპერტთა დასკვნით, პროგრამის დანერგვა ეფუძნება შრომის ბაზრისა და რეგიონული ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორის საჭიროებათა ანალიზს, შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დადგენილია შესაბამისი მეთოდოლოგიით (გამტარიანობისა და ფინანსური რენტაბელობის გათვალისწინებით). ბიბლიოთეკაში მობილიზებულია საჭირო ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა. პროგრამაში ჩართულია 1 არჩევითი მოდული („პრაქტიკული პროექტი – კონდიტერია“), რომელიც ლოგიკურ კავშირშია კვალიფიკაციასთან. პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, მისი სახელწოდება შეესაბამება შინაარსს და იგი სრულად შეესაბამება ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტს (სარეგისტრაციო ნომერი 10.18.1).

კომპონენტი 2.2 („საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი“) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“. აღნიშნული განაპირობა პირველ ინდიკატორთან დაკავშირებულმა ხარვეზმა: კოლეჯის მფლობელობაში არსებული C ტიპის სპეციფიკური სასწავლო გარემო (სასწავლო სამზარეულო) დათვალიერების მომენტში არ აღმოჩნდა სრულად აღჭურვილი მოდულებით გათვალისწინებული ძირითადი ტექნიკითა და ინვენტარით 15-სტუდენტიანი ჯგუფებისათვის. გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია მატერიალური ბაზის სრულყოფაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ტენდერის მტკიცებულება, რომლითაც რესურსების შესყიდვა 2026 წლის 31 აგვისტომდე იგეგმება. კომპონენტის დანარჩენი ინდიკატორები დაკმაყოფილებულია: პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია. პროგრამას ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბაზებში, უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პირთა წვდომა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავების მექანიზმები, ხოლო პროგრამის ბიუჯეტი იძლევა ფინანსური მდგრადობის გარანტიას.

კომპონენტი 2.3 („საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება“) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. კოლეჯში მოქმედებს პროგრამების შეფასების სისტემური მექანიზმი, რომელიც ეყრდნობა შრომის ბაზრის კვლევებს, სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვებსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან (მაგ., საკონდიტრო „მალინა“, შპს „ბუნებრივი აირი“) თანამშრომლობას, თუმცა აღინიშნა, რომ ეს თანამშრომლობა ამ ეტაპზე სასწავლო ექსკურსიებით შემოიფარგლება. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, მათ შორის უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე, დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის პროცედურები.

კომპონენტი 2.4 („სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება“) ასევე შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასწავლო გეგმისა და სტუდენტთა ტრანსპორტირების საჭიროებების გათვალისწინებით. იგი იყენებს სწავლის თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებსა და საერთაშორისო პრაქტიკას (SES ექსპერტების ჩართულობით). პრაქტიკის კომპონენტის (სასწავლო ექსკურსიების) განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულებები პარტნიორებთან. სასწავლო გარემო უსაფრთხოა: მოქმედებს შსს-სთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა, შრომის უსაფრთხოების ნორმები, ვიდეომონიტორინგი და სამედიცინო დახმარების მექანიზმები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური; დანერგილია სამეტაპიანი შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი (ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებათა 25%-ის შემოწმება). შეფასების მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით (უწყისები – მუდმივად), ხოლო შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება როგორც სტუდენტთა აკადემიური პროგრესისთვის, ისე პროგრამის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – კულინარია

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება მეოთხე დონეს. პროგრამის დასრულებისას გაიცემა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 1013). იგი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 21 მაისის N01-4/70 ბრძანებით. სწავლების ენაა ქართული, განხორციელდება ქალაქ თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1-ში მდებარე ინფრასტრუქტურის ბაზაზე, იმიტირებული სამუშაო გარემოს ფორმატში. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 90 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 120 კრედიტი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 45 ადგილს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

ავტორიზაციის მეორე სტანდარტის პირველი კომპონენტი (2.1 „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება“) ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კოლეჯს 2008 წლიდან გააჩნია ამ მიმართულებით სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება და ამჟამად ახორციელებს მიმდინარე პროგრამას. „კულინარიის“ დამატების გადაწყვეტილება ეფუძნება კახეთის რეგიონში ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორის დინამიური განვითარების შედეგად წარმოქმნილ შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დადგენილია სპეციალური მეთოდოლოგიის მიხედვით, ფართის უმცირესი გამტარიანობისა და ფინანსური რენტაბელობის გათვალისწინებით. ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბაზებში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა. პროგრამა მოიცავს 1 არჩევით მოდულს („პრაქტიკული პროექტი – კულინარია“), რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, მისი სახელწოდება შეესაბამება შინაარსს და იგი სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ პროფესიულ სტანდარტთან (სარეგისტრაციო ნომერი 10.17.1).

მეორე კომპონენტი (2.2 „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი“) ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“. აღნიშნული შეფასება გამოიწვია პირველ ინდიკატორში გამოვლენილმა ნაკლოვანებამ: კოლეჯის მფლობელობაში არსებული C ტიპის სპეციფიკური სასწავლო გარემო (სასწავლო სამზარეულო) მატერიალურ-ტექნიკური დათვალიერებისას არ აღმოჩნდა სრულად აღჭურვილი მოდულებისთვის საჭირო ყველა ძირითადი ტექნიკითა და ინვენტარით. ექსპერტებმა გაეცნენ კოლეჯის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმასა და გამოცხადებული ტენდერის მტკიცებულებებს, რომლის მიხედვითაც რესურსების სრული შესყიდვა იგეგმება 2026 წლის 31 აგვისტომდე, რათა 15-სტუდენტიანი ჯგუფებისთვის უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდუალური სამუშაო ადგილები. კომპონენტის დანარჩენი ინდიკატორები დადებითად შეფასდა: პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 26 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობას; პედაგოგებსა და პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნიათ შესაბამისი დარგობრივი და მეთოდოლოგიური კომპეტენცია; სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია მატერიალური და ციფრული სახით, უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პირთა წვდომა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავების მექანიზმები.

მესამე კომპონენტი (2.3 „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება“) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. კოლეჯში მოქმედებს პროგრამის შეფასების სისტემური მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის კვლევებსა და დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, მასწავლებლები, დამსაქმებლები) გამოკითხვას. პარტნიორ ორგანიზაციებთან (შპს „კაპილონი“, შპს „ბრავო“, შპს „ბუნებრივი აირი“) გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზით დადგინდა, რომ თანამშრომლობა ამ ეტაპზე მოიცავს სასწავლო ექსკურსიების

მხარდაჭერას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს მიღებული უკუკავშირის ანალიზს და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამასა და მოდულებში პროცედურულ ცვლილებებს.

მეოთხე კომპონენტი (2.4 „სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება“) ასევე შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. სასწავლო პროცესი წარიმართება სასწავლო გეგმის მიხედვით, ხოლო განრიგი მორგებულია რეგიონიდან სტუდენტთა ტრანსპორტირების საჭიროებებზე. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები (დემონსტრირება, სიმულაცია) და საერთაშორისო პრაქტიკა SES ექსპერტების მოწვევის გზით. სასწავლო ექსკურსიების განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულებები პარტნიორებთან. სასწავლო გარემო უსაფრთხოა: მოქმედებს შსს-სთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა, შრომის უსაფრთხოების ნორმები, ვიდეომონიტორინგი და სამედიცინო დახმარების მექანიზმები. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური; დანერგილია შეფასების შიდა ვერიფიკაციის სამეტაპიანი მექანიზმი (ინსტრუმენტის ვალიდაცია, პროცესის დაკვირვება და მტკიცებულებათა 25%-ის გადამოწმება). შეფასების მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით (უწყისები – მუდმივად), ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც სტუდენტების ინდივიდუალური განვითარებისთვის, ისე სასწავლო პროცესისა და პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

კოლეჯ „პრესტიჟის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ განაცხადსა და ექსპერტთა დასკვნის პროექტში დაფიქსირებულია მექანიკური შეცდომა, რომელიც, სასურველია, გასწორდეს. კერძოდ, დაწესებულების მისამართად მითითებულ „ქართული უნივერსიტეტის №1“-ის ნაცვლად უნდა მიეთითოს „ქართული უნივერსიტეტის №1ა“.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, იკითხა „კულინარიის“ პროგრამაზე C გარემოში 45 სტუდენტის გადანაწილების პრინციპისა და დასაბუთებულობის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული გარემო ერთდროულად მოიაზრებდა მხოლოდ 15 სტუდენტის ტევადობას. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ქიტიაშვილმა, და დარგის ექსპერტმა, თემურ სალინაძემ, განმარტეს, რომ სასწავლო სივრცეების ფართობი იძლევა შესაძლებლობას ცვლების მიხედვით (სამი ცვლა, თითოეულში 15 სტუდენტი) უპრობლემოდ და დაბრკოლების გარეშე განხორციელდეს 45 (და მეტი) სტუდენტის სწავლება.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუშმა, დასვა შეკითხვა პროგრამების განხორციელების მიდგომებთან (კერძოდ, კოოპერაციულ სწავლებასთან) დაკავშირებით. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ქიტიაშვილმა, დააზუსტა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო ტექნიკური ხარვეზი – კოოპერაციული მიდგომა გამოიყენება მხოლოდ „ადმინისტრაციული სერვისების“ პროგრამაზე, ხოლო „კულინარიისა“ და „კონდიტერიის“ პროგრამები ხორციელდება უშუალოდ კოლეჯის ბაზაზე, იმიტირებული გარემოს გამოყენებით, რაც სრულად დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში „კონდიტერიისა“ და „კულინარიის“ პროგრამების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით (2.2.1.1 ინდიკატორი) გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაციები. დარგის ექსპერტმა, თემურ სალინაძემ, დაადასტურა, რომ კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ასევე, დისტანციურად დათვალიერების შედეგად, „კონდიტერიისა“ და „კულინარიის“ პროგრამების მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა , დარგის ექსპერტების შეფასებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, "კონდიტერიისა" და კულინარიის" პროგრამებისათვის, 2.2.1.1 ინდიკატორი და მთლიანად 2.2. კომპონენტის შეფასება შეიცვალოს და შეფასდეს, როგორც „შეესაბამება“ სტანდარტებს.

საბჭოს წევრებმა დაუჭირეს მხარი 2.2.1.1 ინდიკატორის შესაბამისობაში გადაყვანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კონდიტერია“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „კულინარია“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯს „პრესტიჟი“ (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „კონდიტერია“, „ადმინისტრაციული სერვისები“, „კულინარია“ **(დანართი 2)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 17 აგვისტო.

მესამე საკითხი: შპს მარნეულის კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

დარგის ექსპერტი, ალექსანდრე კეკენაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 2 ივლისის №844603 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 13 ივლისს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს „მარნეულის კოლეჯში“ მისამართზე ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N80. ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ – პროგრამის შესაბამისობის დადგენა მოქმედ ავტორიზაციის სტანდარტებთან და იმის შეფასება, თუ რამდენად გააჩნია დაწესებულებას გაზრდილი კონტინგენტის პირობებში პროგრამის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, გაიმართა სამუშაო შეხვედრები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და შეფასებაზე პასუხისმგებელ პირებთან. შეფასების პროცესში განხილულ იქნა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია, სამუშაო დატვირთვა და გაზრდილი კონტინგენტის პირობებში სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის შესაძლებლობა. შეფასდა სასწავლო პროცესის ორგანიზების პრაქტიკა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისა და შესაბამის რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიდგომები. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო გარემოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსების დათვალიერება. ვიზიტი განხორციელდა საქმიან, პროფესიულ და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ წარმოადგენს მესამე დონის პროფესიულ პროგრამას, რომლის დასრულების შემდეგ გაიცემა საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0612). პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 18 მაისის N9052 ბრძანებით. სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, ქალაქ მარნეულში, 26 მაისის ქუჩა N80-ში, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 55 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის – 70 კრედიტს. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 80 ადგილს, რასაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი.

მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, დაწესებულებაში მოწყობილია შესაბამისი A და B ტიპის სასწავლო გარემოები. დარგობრივი მოდულებისათვის გამოიყენება B ტიპის აუდიტორიები №222 (22 სტუდენტზე) და №306 (18 სტუდენტზე),

რომელთა ჯამური ტევადობა ერთ ცვლაში 40 პროფესიულ სტუდენტს შეადგენს. ორი ცვლის პირობებში მათი გამტარუნარიანობა სრულად ფარავს მოთხოვნილ 80 სტუდენტს. გარდა ამისა, ინფორმაციული წიგნიერების მოდულისთვის გამოყოფილია ცალკე B გარემო (აუდიტორია №308, 24 ადგილით), რაც ამცირებს ძირითადი ლაბორატორიების დატვირთვას. თეორიული სწავლებისათვის გამოიყენება A ტიპის ორი აუდიტორია – №307 (24 ადგილი) და №211 (16 ადგილი), რომლებიც ორი ცვლის რეჟიმში ასევე უზრუნველყოფენ 80 სტუდენტის მიღებას. ყველა მატერიალური რესურსი, კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი კოლეჯის საკუთრებაშია, რის გამოც ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

ადამიანური რესურსის მდგრადობისა და კვალიფიკაციის კუთხით, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 5 დარგობრივი და 15 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი. რამდენიმე პედაგოგის არსებობა უზრუნველყოფს ჩანაცვლებადობას, ამცირებს კადრებზე დამოკიდებულების რისკებს და იძლევა საათობრივი დატვირთვის რაციონალურად განაწილების საშუალებას საქართველოს შრომის კოდექსის დაცვით. პერსონალის პირადი საქმეებისა და გასაუბრებების ანალიზით დადასტურდა, რომ მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება და სწავლა-შეფასების მეთოდოლოგიური კომპეტენცია.

პროგრამის მართვისა და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის ნაწილში, აღინიშნა, რომ პროგრამას ჰყავს შესაბამისი განათლებისა და მრავალწლიანი დარგობრივი გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი, რომელიც სრულფასოვნად წარმართავს სასწავლო და ვალიდაციის პროცესებს. საგანმანათლებლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც მატერიალურად №208 აუდიტორიაში განთავსებულ ბიბლიოთეკაში (რომელიც აღჭურვილია ლექტოპებითა და პრინტერით), ისე ელექტრონულად დაწესებულების ვებგვერდისა და კატალოგის მეშვეობით. გასაუბრებებით დადასტურდა, რომ აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორებიც მიჩნეულია შესაბამისად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირთა მხარდაჭერისა და ფინანსური მდგრადობის კუთხით, კოლეჯს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადების, მასალების ადაპტირებისა და შეფასების მექანიზმები, რაც დასტურდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევითაც (სადაც გამოკითხულთა 14%-მა დაადასტურა მათზე მორგებული გეგმის ეფექტიანი გამოყენება). ფინანსური თვალსაზრისით, წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი და ხარჯთაღრიცხვა ადასტურებს პროგრამის მდგრადობას, სადაც რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია სულ 10 პროფესიულ სტუდენტზე, რაც 80-ადგილიანი ზღვრული რაოდენობის პირობებში სრულად უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ ფუნქციონირებას. ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, პროგრამა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, დასვა შეკითხვა კოლეჯის მხრიდან სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის მოთხოვნის დასაბუთებასთან დაკავშირებით, კერძოდ – გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის მიღმა, რა დამატებით არგუმენტებს ეფუძნებოდა აღნიშნული განაცხადი.

დარგის ექსპერტმა, ალექსანდრე კეკენაძემ, განმარტა, რომ კონტიგენტის გაზრდის მოთხოვნა ეყრდნობოდა ორ ძირითად ფაქტორს: აპლიკანტთა წინარე რეგისტრაციების მაღალ მაჩვენებელს და რეგიონული შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, სადაც ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, იკითხა, თუ როგორ მიიღეს და შეაფასეს ექსპერტებმა კონტინგენტის გაზრდის არგუმენტები იმ პირობებში, როდესაც არსებული 44 ადგილიდან ბაზაში მხოლოდ 20 აქტიური სტუდენტი ფიქსირდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში 2025 წლის საგაზაფხულო მიღების ჯგუფს უკვე დასრულებული ჰქონდა სწავლა და მინიჭებული ჰქონდა კვალიფიკაცია, რის გამოც ისინი აღარ ირიცხებოდნენ აქტიურ სტუდენტთა ბაზაში. გარდა ამისა, ქართულენოვანი სექტორის სტუდენტთა ნაწილს მინიჭებული ჰქონდა „მომლოდინე სტუდენტის“ სტატუსი, რამაც განაპირობა ბაზაში მხოლოდ 20 აქტიური სტუდენტის ასახვა. დაწესებულების წარმომადგენლის აღნიშვნით, პროგრამა ფუნქციონირებს სრული დატვირთვით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის კოლეჯისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლების შესაბამისად, შპს მარნეულის კოლეჯს (ს/კ: 234158498) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 80-ით (**დანართი 3**).

მეოთხე საკითხი: სსიპ კოლეჯი „ბლექსისთვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“, „კონდიტერია“, „შედულება“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია მაწკეპლაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 4 ივლისის №859779 ბრძანების (ცვლილება 2026 წლის 9 ივლისის №901651 ბრძანებით) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯ „ბლექსიში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების – „კონდიტერია“, „კულინარია“ და „შედულება“ დამატების ფარგლებში. ვიზიტების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფებმა შეისწავლეს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადები და თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგის შესაბამისად, 2026 წლის 20 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯ „ბლექსიში“, მისამართზე: ქ. ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა, № 92ა. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, აღნიშნული პროგრამების ხელმძღვანელებსა და პროგრამების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს, ხოლო „კონდიტერიისა“ და „კულინარიის“ პროგრამების შემთხვევაში – აგრეთვე პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამასთანავე, ექსპერტების მიერ განხორციელდა სასწავლო გარემოს, ბიბლიოთეკისა და მატერიალური რესურსების, ხოლო სათანადო პროგრამებისთვის – პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება.

აღინიშნა, რომ ხარვეზები არ გამოვლენილა. განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები პროგრამისთვის „შედულება“.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება („პროგრამა შედულება“)

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულება“ განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შესაბამისი A, B და C სასწავლო გარემო, რომლებიც აღჭურვილია თითოეულში 15 პროფესიული სტუდენტის ერთდროული სწავლებისათვის საჭირო ძირითადი ინვენტარით.

ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2026 წლის 29 მაისის №01-02/86 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის (2.2.1 – პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით) მოთხოვნებთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედულების“ განსახორციელებლად საჭირო რესურსების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

შესაბამისობის გეგმა ითვალისწინებს ექვსი თვის ვადაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედულებისთვის“ დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენას. გეგმის შესრულების საბოლოო ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 30 ნოემბერი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის შექმნილია შესაბამისი სასწავლო გარემო და უზრუნველყოფილია ძირითადი მატერიალური რესურსი, დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის აუცილებლობა თავად დაწესებულების მიერაც არის იდენტიფიცირებული და ასახულია შესაბამისობის გეგმაში. შესაბამისად, ინდიკატორი 2.2.1.1 როგორც დაწესებულების თვითშეფასებით, ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა მეტწილად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – კულინარია

აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს. პროგრამის დასრულებისას გაიცემა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 1013). იგი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 20 მაისის №01-02/82 ბრძანებით. სწავლების ენაა ქართული, ხოლო მისამართია ქალაქ ბათუმში, მიხეილ ლერმონტოვის ქ. №92ა-ში მდებარე ინფრასტრუქტურის ბაზა. პროგრამის განხორციელების ფორმაა რეალური სამუშაო გარემო (დუალური სწავლება) და იმიტირებული სამუშაო გარემო. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 90 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 120 კრედიტი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 75 ადგილს (45 პროფესიული სტუდენტი იმიტირებულ გარემოში, ხოლო 30 სტუდენტი დუალურ სწავლებაზე), რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა.

ავტორიზაციის მეორე სტანდარტის პირველი კომპონენტი (2.1 „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება“) ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. კოლეჯს „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამის განხორციელების გამოცდილება 2017 წლიდან გააჩნია. „კულინარიის“ დამატების გადაწყვეტილება ეფუძნება რეგიონში სასტუმრო-სარესტორნო და კვების სფეროს მზარდ მოთხოვნებსა და შრომის ბაზრის კვლევებს, რაც სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება (ხოლო ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე – საბაზო ზოგადი განათლება), ხოლო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დადგენილია სპეციალური მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის, ადამიანური რესურსებისა და ფინანსური რენტაბელობის გათვალისწინებით. ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბაზებში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა. პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულს („პრაქტიკული პროექტი“), რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, მისი სახელწოდება შეესაბამება შინაარსს და იგი სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან დემინგის (PDCA) უწყვეტი გაუმჯობესების ციკლის პრინციპებზე დაყრდნობით.

მეორე კომპონენტი (2.2 „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი“) ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, როგორც „შეესაბამება“. კოლეჯის მფლობელობაში არსებული სასწავლო გარემო – ორი A ტიპის აუდიტორია (15 სტუდენტზე), ერთი B ტიპის აუდიტორია (15 სტუდენტზე) და ორი C ტიპის პრაქტიკული გარემო (სასწავლო სამზარეულო 62.75 კვ.მ და სასწავლო საკონდიტრო 56.25 კვ.მ) – სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 37 პროფესიული განათლების მასწავლებელი (20 პროფესიული, 10 ინტეგრირებული და 7 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი), რაც

უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობას. პედაგოგებსა და 2022 წლიდან მოქმედ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნიათ შესაბამისი დარგობრივი და მეთოდოლოგიური კომპეტენცია. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბაზებში, უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პირთა წვდომა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავების მექანიზმები, ხოლო პროგრამის ბიუჯეტი (სახელმწიფო პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით) იძლევა ფინანსურ მდგრადობას, რადგან მოთხოვნილი კვოტა აღემატება რენტაბელობის განსაზღვრულ მინიმალურ ზღვარს (5-6 სტუდენტი).

მესამე კომპონენტი (2.3 „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება“) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. კოლეჯში მოქმედებს პროგრამის შეფასების სისტემური მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მასწავლებლები, დამსაქმებლები) გამოკითხვას ხარისხის მენეჯერის კოორდინაციით. შიდა რეგულაციები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წესი უზრუნველყოფს მიღებული უკუკავშირის, შიდა ვერიფიკაციისა და მონიტორინგის შედეგების ანალიზს და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამასა და მოდულებში დირექტორის ბრძანებით შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

მეოთხე კომპონენტი (2.4 „სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება“) ასევე შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სამივე შესაბამისი სასწავლო გეგმის (იმიტირებული, ინტეგრირებული, დუალური) მიხედვით, ხოლო ორგანიზება ორიენტირებულია სტუდენტთა ინტერესებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები (თანამშრომლობითი, ჯგუფური, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიმულაციები), უზრუნველყოფილია პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარება და ურთიერთდასწრების პრაქტიკა. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულებები პარტნიორ პრაქტიკის ობიექტებთან (შპს „ქარაფი“, შპს „ბათუმი თაუერი“, შპს „არგო მენეჯმენტი“, სს „ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთი“, შპს „ტურიზესტი“ - ყველა პარტნიორი დაწესებულება ფლობს სასწავლო საწარმოს სტატუსს), სადაც პროფესიული კრედიტების 51% ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური, მოიცავს ორსაფეხურიან წინასწარ ვალიდაციას და რისკებზე დაფუძნებულ შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს. შეფასების მტკიცებულებები არქივში ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები (განმავითარებელი და შუალედური შეფასებები) გამოიყენება სტუდენტების ინდივიდუალური განვითარებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – კონდიტერია

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს. პროგრამის დასრულებისას გაიცემა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 1013). იგი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 20 მაისის №01-02/83 ბრძანებით. სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, ქალაქ ბათუმში, მიხეილ ლერმონტოვის ქ. №92ა-ში მდებარე ინფრასტრუქტურის ბაზაზე, რეალური სამუშაო გარემოს (კოოპერაციული სწავლება) ფორმატში. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 90 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 120 კრედიტი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე შეადგენს 30 ადგილს, რასაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად დაეთანხმა.

ავტორიზაციის მეორე სტანდარტის პირველი კომპონენტი (2.1 „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება“) ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. კოლეჯს „კონდიტერიის“ პროგრამის განხორციელების გამოცდილება 2018 წლიდან გააჩნია.

„კონდიტერიის“ დამატების გადაწყვეტილება ეფუძნება რეგიონში ტურიზმისა და მომსახურების, მათ შორის კვების სფეროს მზარდ მოთხოვნებს, შრომის ბაზრის კვლევებსა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს (79.5%), რაც სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამაზე დამშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება (ხოლო ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე – საბაზო ზოგადი განათლება), ხოლო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დადგენილია სპეციალური მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობის, ორცვლიანი სწავლების, ადამიანური რესურსებისა და ფინანსური რენტაბელობის გათვალისწინებით. ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბაზებში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა. პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულს („საწარმოო პროექტი“), რომელიც ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში და ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, მისი სახელწოდება შეესაბამება შინაარსს და იგი სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან დემინგის (PDCA) უწყვეტი გაუმჯობესების ციკლის პრინციპებზე დაყრდნობით.

მეორე კომპონენტი (2.2 „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი“) ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, როგორც „შეესაბამება“. კოლეჯის მფლობელობაში არსებული სასწავლო გარემო – თითო A, B, C (56.26 კვ.მ) და A/C (33 კვ.მ) ტიპის სივრცეები – სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 35 პროფესიული განათლების მასწავლებელი (19 პროფესიული, 12 ინტეგრირებული და 4 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი), რაც უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობას. პედაგოგებსა და 2022 წლიდან მოქმედ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნიათ შესაბამისი დარგობრივი და მეთოდოლოგიური კომპეტენცია. სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბაზებში, უზრუნველყოფილია სსსმ/შშმ პირთა წვდომა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავების მექანიზმები, ხოლო პროგრამის ბიუჯეტი (სახელმწიფო პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით) ფინანსურად მდგრადია, რადგან მოთხოვნილი კვოტა აღემატება რენტაბელობის განსაზღვრულ მინიმალურ ზღვარს (5 სტუდენტი).

მესამე კომპონენტი (2.3 „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება“) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. კოლეჯში მოქმედებს პროგრამის შეფასების სისტემური მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მასწავლებლები, ინსტრუქტორები, დამსაქმებლები) გამოკითხვას ხარისხის მენეჯერის კოორდინაციით. შიდა რეგულაციები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის წესი უზრუნველყოფს მიღებული უკუკავშირის, შიდა ვერიფიკაციისა და მონიტორინგის შედეგების ანალიზს და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამასა და მოდულებში დირექტორის ბრძანებით შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

მეოთხე კომპონენტი (2.4 „სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება“) ასევე შეფასდა, როგორც „შეესაბამება“. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შესაბამისი სასწავლო გეგმების მიხედვით, ხოლო ორგანიზება ორიენტირებულია სტუდენტთა ინტერესებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები (თანამშრომლობითი, ჯგუფური, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სიმულაციები), უზრუნველყოფილია პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარება და ურთიერთდასწრების პრაქტიკა. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულებები 6 პარტნიორ პრაქტიკის ობიექტთან (შპს „ალუბალი“, შპს „ტურიზმესტი“, შპს „ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთი“, შპს „ბათუმი თაუერი“, შპს „არგო მენეჯმენტი“, სს „გუდვილი“). შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური, მოიცავს ორსაფეხურიან წინასწარ ვალიდაციას და რისკებზე დაფუძნებულ შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს. შეფასების მტკიცებულებები არქივში

ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების შედეგები (განმავითარებელი შეფასებები) გამოიყენება სტუდენტების ინდივიდუალური განვითარებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – შედეგება

პროგრამა „შედეგება“ მიეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და კურსდამთავრებულს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას შედეგებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0715). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 20 მაისის №N01-02/88 ბრძანებით სწავლება განხორციელდება ქართულ ენაზე, ქალაქ ბათუმში, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა №92ა-ში მდებარე სასწავლო სივრცეში, იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 87 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 117 კრედიტით. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების (კომპონენტი 2.1) ფარგლებში დადგინდა, რომ კოლეჯის გადაწყვეტილება „შედეგების“ პროგრამის დანერგვის შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევებს, რეგიონულ მოთხოვნებსა და საქსტატის მონაცემებს, რაც ადასტურებს კვალიფიციურ შემდუღებლებზე მზარდ მოთხოვნას. ინდიკატორი 2.1.1.1-ის მიხედვით, აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამება დაწესებულების 2019–2026 წლების სტრატეგიულ გეგმასა და 2026 წლის სამოქმედო გეგმას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, ხოლო მიღების პროცედურები (ინდიკატორი 2.1.1.2), რომელიც მოტივაციურ გასაუბრებას ეფუძნება, უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას, მათ შორის სსსმ/შშმ და არაქართულენოვანი აპლიკანტებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა 30-კაციანი კვოტა (ინდიკატორი 2.1.1.3) დასაბუთებულია ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების ეფექტიანი გაანგარიშებით, რაც ორცვლიანი სწავლების პირობებში (თითო ცვლაში 15 სტუდენტი) უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს ოპტიმალურ გამტარუნარიანობას. პროგრამის მატერიალური რესურსები (ინდიკატორი 2.1.1.4) სრულად პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს. არჩევითი მოდული „ლითონების აირალური შედეგება-ჭრა და პლაზმური ჭრა“ (ინდიკატორი 2.1.1.5) ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და აფართოებს სტუდენტთა პრაქტიკულ უნარებს. პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ (ინდიკატორი 2.1.1.6), ხოლო მისი სახელწოდება „შედეგება“ (ინდიკატორი 2.1.1.7) ზუსტად ასახავს შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი. მთლიანობაში, პროგრამის შემუშავების პროცესი (ინდიკატორი 2.1.1.8) ეფუძნება PDCA ციკლს და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების (კომპონენტი 2.2) შეფასებისას ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო გარემოები (A, B და C ტიპის) უზრუნველყოფილია ძირითადი ინვენტარით. ინდიკატორ 2.2.1.1-თან დაკავშირებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა (მოქმედებს 2026 წლის 30 ნოემბრამდე), რაც ითვალისწინებს დამატებითი აღჭურვილობის ეტაპობრივ შესყიდვას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი (11 ზოგადი და 7 პროფესიული მოდულისთვის), ხოლო თითოეულ მოდულზე მცირე ორ-ორი მასწავლებლის განსაზღვრა უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობასა და შრომის კოდექსით დადგენილი დატვირთვის ლიმიტების დაცვას (ინდიკატორი 2.2.1.2). პერსონალს გააჩნია შესაბამისი პროფესიული და პედაგოგიკური კომპეტენცია (ინდიკატორი 2.2.1.3), ხოლო პროგრამას უძღვება შესაბამისი დარგობრივი გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი (ინდიკატორი 2.2.1.4), რომელიც 2021 წლიდან უძღვებოდა აღნიშნულ პროგრამას შუახევის სასწავლო სივრცეში. საბიბლიოთეკო ფონდი და ელექტრონული რესურსები სრულად ხელმისაწვდომია

(ინდიკატორი 2.2.1.5). გარდა ამისა, კოლეჯში დანერგილია ინკლუზიური განათლების ეფექტიანი სისტემა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მექანიზმები და ადაპტირებული ტექნოლოგიური რესურსები სსსმ/შშმ პირებისთვის (ინდიკატორი 2.2.1.6). ფინანსური მოდელი ეფუძნება სახელმწიფო (პროგრამულ და ვაუჩერულ) დაფინანსებას, ხოლო რენტაბელობის 5-სტუდენტური ზღვარი გარანტირებულს ხდის პროგრამის ფინანსურ მდგრადობას (ინდიკატორი 2.2.1.7).

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების (კომპონენტი 2.3) კუთხით ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის ანალიზს, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას (ინდიკატორი 2.3.1.1). ხარისხის მენეჯერის კოორდინაციით ხორციელდება მიღებული შედეგების ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების ინიცირება შიდა რეგულაციებისა და კანონმდებლობის დაცვით (ინდიკატორი 2.3.1.2).

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების (კომპონენტი 2.4) მიმოხილვამ აჩვენა, რომ სწავლება მიმდინარეობს სასწავლო და eFlow სისტემაში წარდგენილი კალენდარული გეგმების შესაბამისად (ინდიკატორი 2.4.1.1). პროცესი მორგებულია სტუდენტთა ინტერესებზე (ინდიკატორი 2.4.1.2), იყენებს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებსა და დარგობრივ ტექნოლოგიებს, რასაც მხარს უჭერს პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება და ურთიერთდასწრების პრაქტიკა (ინდიკატორი 2.4.1.3). სასწავლო პროცესში სრულად არის გათვალისწინებული ინდივიდუალური საჭიროებები (ინდიკატორი 2.4.1.4), ხოლო სწავლება ხორციელდება უსაფრთხო იმიტირებულ გარემოში. შეფასების სისტემა არის ვალიდური, ორსაფეხურიანი წინასწარი ვალიდაციითა და რისკებზე დაფუძნებული ვერიფიკაციის მექანიზმით აღჭურვილი (ინდიკატორები 2.4.2.1 და 2.4.2.2). შეფასების მტკიცებულებები სათანადოდ აღირიცხება და ინახება 3 წლის ვადით (ინდიკატორი 2.4.2.3), ხოლო შეფასების შედეგები და განმავითარებელი უკუკავშირი აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის (ინდიკატორი 2.4.2.4).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ იკითხა დაწესებულების მისამართის ნუმერაციასთან დაკავშირებული უზუსტობის დაზუსტებით. კოლეჯის დირექტორის მოადგილემ, მაია თოიძემ დაადასტურა, რომ დაწესებულების ფაქტობრივი მისამართია ლერმონტოვის ქუჩა №92ა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არსებული ტექნიკური ცდომილების გასწორების აუცილებლობაზე. ამასთანავე, თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა პერსონალის რაოდენობრივ მონაცემებზე, სადაც დასკვნის სხვადასხვა გვერდზე ფიქსირდებოდა 32 და 35 მასწავლებელი. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნათია მაწკეპლაძემ განმარტა, რომ პროფესიულ მასწავლებელთა რეალური რაოდენობა შეადგენს 32-ს, ხოლო დასკვნის 26-ე გვერდზე მითითებული ციფრი ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან დაკავშირებით, რომელიც თარიღდება 2019 წლის 25 ივლისით. მან აღნიშნა, რომ 2019 წლის შემდეგ ფუნდამენტურად შეიცვალა პროფესიული განათლების საკანონმდებლო ჩარჩო, ამოქმედდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები, ECVET-ის პრინციპები, შეფასების, ვერიფიკაციის, შრომის უსაფრთხოების, ინკლუზიური განათლებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ახალი მექანიზმები. ელენე კაკაბაძემ ექსპერტს სთხოვა განმარტება, ასახული იყო თუ არა აღნიშნული ცვლილებები მოქმედ წესში. მაია თოიძემ განმარტა, რომ ძირითად დოკუმენტში წლების განმავლობაში რეგულარულად შედიოდა ცვლილებები და დაწესებულება მოქმედებს კონსოლიდირებული ვერსიით. ავტორიზაციის ექსპერტმა ნათია მაწკეპლაძემ დაადასტურა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი და შეფასებული იქნა ყველა ბოლო ცვლილებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო ექსპერტის დასკვნაში

ბრძანებებისა და ცვლილებების სრული რეკვიზიტების ასახვა ტექნიკური გამორჩენა იყო. ელენე კაკაბაძემ ასევე მიუთითა, რომ წარმოდგენილ დასკვნაში სამივე პროგრამისათვის შეუფასებელი იყო 2.4.1.6 ინდიკატორი, რომელიც ეხება უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს. ექსპერტმა ნათია მაწკეპლაძემ განმარტა, რომ აღნიშნული კომპონენტი დაკორექტირდა და ასახულია დასკვნის საბოლოო ვერსიაში. აღნიშნული პოზიცია დაადასტურა დარგის ექსპერტმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ადგილზე ვიზიტისას დეტალურად შემოწმდა შრომის უსაფრთხოების საკითხები და პროცესის უსაფრთხოება სრულად არის უზრუნველყოფილი.

დუალური სწავლების კომპონენტთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორების არსებობით 30 დუალური სტუდენტის სწავლებისა და შეფასების უზრუნველსაყოფად. ექსპერტმა ნათია მაწკეპლაძემ განაცხადა, რომ განხორციელდა ვიზიტები ყველა პარტნიორ ორგანიზაციაში, სადაც შედგა კომუნიკაცია პასუხისმგებელ პირებსა და ინსტრუქტორებთან. დადასტურდა, რომ ინსტრუქტორები იცნობენ პროგრამის თემატიკას, სწავლისა და შეფასების მეთოდოლოგიას, ხოლო პრაქტიკის ობიექტების ჯამური გამტარუნარიანობა სრულად აკმაყოფილებს 30 პროფესიული სტუდენტის მოთხოვნას.

სასწავლო სამზარეულოს დატვირთვასთან დაკავშირებით, მაია თოიძემ განმარტა, რომ პროგრამაზე განსაზღვრული 75 სტუდენტიდან 30 არის დუალური, ხოლო 45 – იმიტირებული (მათ შორის ინტეგრირებული). ვინაიდან სამზარეულო ერთდროულად იტევს 15 სტუდენტს, სასწავლო პროცესი გაწერილია ორცვლიან, შეჭრილ გრაფიკში. დუალური და ინტეგრირებული კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც მოდულების მნიშვნელოვანი ნაწილი პრაქტიკის ობიექტებზე ხორციელდება, შიდა სივრცეების გამტარუნარიანობა სრულად უზრუნველყოფს ჯგუფების მეცადინეობას შეფერხების გარეშე.

კულინარიის პროგრამის ბიუჯეტსა და ხარჯვად მასალებთან დაკავშირებით, კოლეჯის დირექტორმა, გიორგი გოგიტიძემ აღნიშნა, რომ კულინარია-კონდიტერიის მიმართულება ხასიათდება მაღალი ვაუჩერული დაფინანსებით. სტუდენტთა რაოდენობის ზრდა ზრდის დაწესებულების ფინანსურ შესაძლებლობებს, რაც პირდაპირ აისახება ნედლეულისა და ინგრედიენტების შესყიდვის მოცულობაზე. ექსპერტმა ნათია მაწკეპლაძემ დაადასტურა, რომ კოლეჯის ბიუჯეტი დეტალურად იქნა შესწავლილი, ხარჯვითი ნაწილი სრულად ითვალისწინებს საჭირო მასალა-ნედლეულის შეძენას, ხოლო დუალური სტუდენტების ნაწილში ხარჯვას უზრუნველყოფენ პარტნიორი საწარმოები.

პროფესიული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვისა და ინდივიდუალური უკუკავშირის გაცემის შესაძლებლობის შეფასებისას, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პერსონალის რაოდენობა აღემატება მინიმალურ საჭიროებას. წარმოდგენილი საათობრივი ბადე იძლევა სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარების საშუალებას, ხოლო მასწავლებლებთან გასაუბრებამ დაადასტურა მათ მიერ შეფასების პროცესის მაღალ დონეზე ცოდნა.

პროგრამა „შედულებასთან“ დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა დასკვნის 24-ე და 25-ე გვერდებზე არსებულ უზუსტობაზე შეფასების დონეებთან მიმართებაში („მეტწილად შეესაბამება“ და „შეესაბამება“), რაც ექსპერტმა ტექნიკურ ხარვეზად შეაფასა და აღნიშნა, რომ გასწორებული ვერსია წარმოდგენილია. იმიტირებულ გარემოში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე საუბრისას, დარგის ექსპერტმა თეა ნარეკლიშვილმა განმარტა, რომ C სასწავლო გარემოში თითოეულ სამუშაო მაგიდასთან დამონტაჟებულია გამწოვი კარადები, განთავსებულია ცეცხლმაქრები და გამოკრულია უსაფრთხოების ინსტრუქციები. ნარჩენი მასალების მართვას უზრუნველყოფს მოწვეული სპეციალიზებული კომპანია.

სამუშაო ადგილის დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების ვალდებულებასთან დაკავშირებით, ექსპერტებმა თეა ნარეკლიშვილმა, ნათია მაწკეპლაძემ და ნანა შათირიშვილმა განმარტეს, რომ უსაფრთხოების ნორმების დაცვის ინსტრუქციისა და შესაბამისი მოდულების სწავლის შედეგების მიხედვით, სტუდენტი ვალდებულია სამუშაო პროცესის დასრულების

შემდეგ მოაწესრიგოს პირადი სამუშაო სივრცე, ინსტრუმენტები და ნარჩენები მოათავსოს ურნაში, რაც წარმოადგენს პროფესიული უნარ-ჩვევების შემადგენელ ნაწილს.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა „შედულების“ პროგრამაზე წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმასთან დაკავშირებით, ხომ არ შეაფერხებდა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის 6-თვიან ვადაში შეძენა სწავლის პროცესს. დარგის ექსპერტმა თეა ნარეკლიშვილმა განმარტა, რომ სასწავლო გეგმის დასაწყისში გათვალისწინებულია თეორიული და ისეთი მოდულები, რომლებიც არ მოითხოვს აღნიშნულ რესურსს. კოლეჯის დირექტორის მოადგილემ, მაია თოიძემ და დირექტორმა, გიორგი გოგიტიძემ დაამატეს, რომ პროგრამაზე მიღება გამოცხადდება საშემოდგომო მიღებაზე, სწავლა დაიწყება 1 დეკემბრიდან, ხოლო შესყიდვების ტენდერი უკვე შედგა და სრული აღჭურვა ნოემბრის თვეში დასრულდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯი "ბლექსისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარია“, „კონდიტერია“, „შედულება“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე, 62-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "ბლექსი" (ს/კ: 245610398) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „კულინარია“, „კონდიტერია“, „შედულება“ (დანართი 4).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 17 აგვისტო

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს კოლეჯ „ბლექსში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „შედულებაზე“ 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ექსპერტთა ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 30 ნოემბერი.

სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, ავტორიზაციის ექსპერტს შეექმნა ტექნიკური შეფერხება, ინტერნეტკავშირის პრობლემა, რის გამოც შეუძლებელი გახდა საკითხის სრულფასოვანი განხილვა და ექსპერტის პოზიციის მოსმენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ მონიტორინგის საკითხის განხილვა გადაიდო საბჭოს უახლოეს სხდომამდე.

მეხუთე საკითხი: სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“, „თაბამირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „გათბობის ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების

მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, შორენა ალაგარდაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 2 ივლისის №844664 ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევა 2026 წლის 28, 29 და 30 ივლისს ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ (ქ. ქობულეთი, რუსთაველის №154), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“, „ხის მხატვრული დამუშავება“ და „გათბობის ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 8 ივლისის №897332 ბრძანებით, ცვლილება შევიდა 2026 წლის 2 ივლისის №844664 ბრძანებაში ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ვიზიტის დღეების გადანაწილების ნაწილში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამების ხელმძღვანელებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს და გაეცნო პროგრამების დამატების საჭიროებისა და მიზანშეწონილობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, მათ შორის ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზრის კვლევებს, დამსაქმებელთა უკუკავშირისა

და კოლეჯის 2026-2032 წლების სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან პროგრამების შესაბამისობის დასაბუთებას. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის – პროგრამების ხელმძღვანელებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების – პირადი საქმეები (კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები, სერტიფიკატები და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) და გამართა გასაუბრებები განმახორციელებელ პირებთან მოდულების სწავლებისა და შეფასების გამოცდილების შესახებ. ვიზიტის დღეებში დღის წესრიგის მიხედვით სამ დღეზე განაწილებული პროგრამების ფარგლებში ფიზიკურად დაათვალიერა პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – A, B და C გარემოები (თეორიული აუდიტორიები და პრაქტიკული ლაბორატორიები). ხუთივე პროგრამის სწავლების განხორციელების ფორმა არის იმიტირებული, შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა C გარემო მისი გამტარუნარიანობა და პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო რესურსი და რესურსების საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, დანაკლისი რესურსებისთვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმები საჭირო აღჭურვილობის შესყიდვის ვადების მიხედვით. ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს კოლეჯის ბიბლიოთეკის სივრცე და იქ არსებული პროგრამული საგანმანათლებლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა) და მისი ხელმისაწვდომობის მექანიზმები, მათ შორის საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის (სსსმ) გათვალისწინებული ინდივიდუალური მხარდაჭერისა და ადაპტირებული სასწავლო რესურსების საკითხები. ვიზიტის დროს ასევე შესწავლილ და გამოკვლეულ იქნა პროგრამების ფინანსური მდგრადობა (საპროგნოზო ბიუჯეტები, შემოსავალ-ხარჯების თანაფარდობა, რენტაბელობის ზღვარი), სასწავლო პროცესის ორგანიზება, სასწავლო გეგმები და მასწავლებელთა დატვირთვა, ასევე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა – მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და ვერიფიკაცია, შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვა-შენახვა და შედეგების გამოყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისთვის და უსაფრთხო შრომისა და ნარჩენების მართვის მექანიზმები. ყოველი სამუშაო დღის დასასრულს ჯგუფმა დაწესებულების წინაშე წარადგინა შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

აღინიშნა, რომ ხარვეზები არ გამოვლენილა და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. ექსპერტებმა გასცეს სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ყველა პროგრამისთვის, კერძოდ:

2.2.1.1 – რეკომენდებულია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული მატერიალური რესურსის შეძენა განხორციელდეს ამავე დოკუმენტით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 30 ნოემბერს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება (Heating, Air conditioning and Refrigeration (HACR) Service)

პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს. სწავლის დასრულების შემდეგ გაიცემა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი 0713). პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 11 მაისის N 01-04/128 ბრძანებით და მისი განხორციელების ენას წარმოადგენს ქართული. სწავლება იგეგმება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქობულეთში, რუსთაველის №154-ში მდებარე ინფრასტრუქტურულ ბაზაზე. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში და არ ითვალისწინებს რეალურ სამუშაო გარემოში (დუალურ/კოოპერაციულ) სწავლებას. პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30 პირს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 60 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 90 კრედიტით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა და დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურდა სრული შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან. კოლეჯის გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევას, აჭარის რეგიონის ეკონომიკურ პროფილს (ტურიზმისა და მშენებლობის ზრდა) და დაწესებულების ემპირიულ გამოცდილებას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მზაობას რთული საპროექტო ნახაზებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის გააზრებისთვის. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (30 სტუდენტი) გაანგარიშებულია ორცვლიანი და შეჭრილი გრაფიკის მეთოდოლოგიით, რაც ეფექტურად იყენებს არსებულ A და C სასწავლო გარემოებსა და 14-კაციან პერსონალს. პროგრამა ასევე მოიცავს 6-კრედიტიან არჩევით მოდულს „სავენტილაციო სისტემების მონტაჟი“, რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს მის შინაარსს, ხოლო დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და შიდა მეთოდოლოგიას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების კომპონენტში დაფიქსირდა შეფასება „მეტწილად შეესაბამება“. კოლეჯს გააჩნია თეორიული სწავლების A გარემო და პრაქტიკული ლაბორატორიული C გარემო. მატერიალური ბაზის სრულყოფის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებული 2026 წლის 27 მაისის №01-04/193 ბრძანებით), რომელიც ითვალისწინებს C გარემოსთვის დანაკლისი სპეციალიზებული აღჭურვილობის (მათ შორის ვაკუუმ ტუმბოს, ფრეონის ჟონვის დეტექტორისა და მანომეტრების) შესყიდვას 2026 წლის 30 ნოემბრამდე. ექსპერტთა დასკვნით, აღნიშნული დროებითი დანაკლისი არ შეაფერხებს სასწავლო პროცესს სასწავლო გეგმის ლოგიკური სტრუქტურის გამო. ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, 14 მასწავლებლისა და გამოცდილი პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და სწავლის შედეგების ჯეროვნად გამომუშავებას. ასევე უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო ფონდის ხელმისაწვდომობა (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით), სსსმ პირთა საჭიროებებზე მორგებული გარემო და რესურსები, ხოლო ბიუჯეტის საპროგნოზო გაანგარიშება ადასტურებს ფინანსურ მდგრადობას.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების კომპონენტი შეფასდა სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში. კოლეჯში მოქმედებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს ოთხივე ძირითადი დაინტერესებული მხარის – პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების – გამოკითხვასა და უკუკავშირის ანალიზს. ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს კვლევის შედეგების დამუშავებასა და EQAVET ინდიკატორების გამოყენებას, რის საფუძველზეც ხორციელდება პროგრამულ-მოდულური ცვლილებების ინიცირება, შიდა რეგულაციებისა და ეროვნული ცენტრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კომპონენტებში დაწესებულება შეფასდა როგორც "შესაბამისი". სასწავლო გეგმა გაწერილია 50 კვირაზე, კვირეული დატვირთვით არაუმეტეს 40 საათისა. სასწავლო პროცესი მოქნილად ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის სსსმ და შშმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და ასისტენტის მომსახურების შეთავაზებას. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე ინტერაქციული მეთოდები და ელექტრონული პლატფორმა Microsoft Teams (დისტანციური/ჰიბრიდული კომპონენტებისთვის). C გარემოს ლაბორატორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების მკაცრი ნორმები და დანერგილია ნარჩენების მართვის მექანიზმი. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებს, მოიცავს ინსტრუმენტებისა და პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმს ხარისხის სამსახურის მიერ, უზრუნველყოფს მტკიცებულებათა 3 წლის ვადით შენახვას და ორიენტირებულია სტუდენტთა შემდგომ განვითარებაზე კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდების გზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი (Drywall Installation)

პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მესამე დონეს. სწავლის დასრულების შემდეგ გაიცემა საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი 0732). პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 11 მაისის N 01-04/128 ბრძანებით და მისი განხორციელების ენას წარმოადგენს ქართული. სწავლება იგეგმება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქობულეთში, რუსთაველის №154-ში მდებარე ინფრასტრუქტურულ ბაზაზე. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში და არ ითვალისწინებს რეალურ სამუშაო გარემოში (დუალურ/კოოპერაციულ) სწავლებას. პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 15 პირს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 58 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 73 კრედიტით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა და დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურდა სრული შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან. კოლეჯის გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევას, აჭარის რეგიონის ინტენსიურ სამშენებლო-მოსაპირკეთებელ სექტორს, ეროვნულ სტატისტიკასა და დაწესებულების ემპირიულ გამოცდილებას (2018 წლიდან მოქმედი მონათესავე პროგრამის 90%-იან დასაქმებას). პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება, რაც სრულად შეესაბამება NQF-ის მე-3 დონესა და ტექნოლოგიურ-პრაქტიკულ სწავლის შედეგებს. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (15 სტუდენტი) გაანგარიშებულია ერთცვლიანი სწავლების მეთოდოლოგიით, სადაც A, B და C გარემოების რესურსები და 12-კაციანი პერსონალი თანაბრადაა გადანაწილებული. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს, ხოლო სახელწოდება ზუსტად შეესაბამება ეროვნულ სტანდარტს (07.25.1) და არ არის შეცდომაში შემყვანი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების კომპონენტში დაფიქსირდა შეფასება „მეტწილად შეესაბამება“. კოლეჯს გააჩნია თეორიული სწავლების A გარემო (№207 აუდიტორია), B კომპიუტერული ლაბორატორია (№208 აუდიტორია) და პრაქტიკული C გარემო (№102 ლაბორატორია). მატერიალური ბაზის სრულყოფის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებული 2026 წლის 27 მაისის №01-04/193 ბრძანებით), რომელიც ითვალისწინებს C გარემოსთვის დანაკლისი 38 დასახელების აღჭურვილობის (მათ შორის ლაზერული თარაზოების, ელექტრო სჭვალსახრახნებისა და პერფორატორების) შესყიდვას 2026 წლის 30 ნოემბრამდე. ექსპერტთა დასკვნით, აღნიშნული დროებითი დანაკლისი არ შეაფერხებს სასწავლო პროცესს სასწავლო გეგმის ლოგიკური სტრუქტურის გამო. ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, 12 მასწავლებლისა და გამოცდილი პროგრამის ხელმძღვანელის (სულხან მამულაიშვილი) ჩართულობა, მასწავლებელთა პერსონალური განვითარების გეგმებთან ერთად, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ასევე უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო ფონდის ხელმისაწვდომობა (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით), სსსმ პირთა საჭიროებებზე მორგებული გარემო და რესურსები, ხოლო ბიუჯეტის საპროგნოზო გაანგარიშება (რენტაბელობის ზღვარი 9 სტუდენტი) ადასტურებს ფინანსურ მდგრადობას.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების კომპონენტი შეფასდა სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში. კოლეჯში მოქმედებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს ოთხივე ძირითადი დაინტერესებული მხარის – პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების – გამოკითხვასა და უკუკავშირის ანალიზს. ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს კვლევის შედეგების დამუშავებასა და EQAVET

ინდიკატორების გამოყენებას, რის საფუძველზეც ხორციელდება პროგრამულ-მოდულური ცვლილებების ინიცირება, შიდა რეგულაციებისა და ეროვნული ცენტრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კომპონენტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სასწავლო გეგმა გაწერილია 44 კვირაზე (3 ზოგადი და 9 პროფესიული მოდული), კვირეული დატვირთვით არაუმეტეს 40 საათისა. სასწავლო პროცესი მოქნილად ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის სსსმ და შშმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და ასისტენტის მომსახურების შეთავაზებას. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე ინტერაქციული მეთოდები და ელექტრონული პლატფორმა Microsoft Teams (4 მოდულის დისტანციური/ჰიბრიდული სწავლებისათვის). C გარემოს ლაბორატორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების მკაცრი ნორმები და დანერგილია ნარჩენების მართვის მექანიზმი ქობულეთის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების (№03-08/56) საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებს, მოიცავს ინსტრუმენტებისა და პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმს ხარისხის სამსახურის მიერ, უზრუნველყოფს მტკიცებულებათა 3 წლის ვადით შენახვას და ორიენტირებულია სტუდენტთა შემდგომ განვითარებაზე კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდების გზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სამშენებლო სამღებრო სამუშაოები (Construction Painting Works)

პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს. სწავლის დასრულების შემდეგ გაიცემა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო სამღებრო სამუშაოებში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი 0732). პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 11 მაისის N 01-04/128 ბრძანებით და მისი განხორციელების ენას წარმოადგენს ქართული. სწავლება იგეგმება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქობულეთში, რუსთაველის №154-ში მდებარე ინფრასტრუქტურულ ბაზაზე. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში და არ ითვალისწინებს რეალურ სამუშაო გარემოში (დუალურ/კოოპერაციულ) სწავლებას. პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენს 15 პირს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 85 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის – 115 კრედიტით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა და დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურდა სრული შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან. კოლეჯის გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრის სიღრმისეულ კვლევას, აჭარის რეგიონის ტურისტული და სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოთხოვნებს, რეგიონში რეგისტრირებულ 40-ზე მეტ კონკრეტულ ვაკანსიასა და დაწესებულების ემპირიულ გამოცდილებას (2018 წლიდან მოქმედი მონათესავე პროგრამის 90%-იან დასაქმებას). პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც შეესაბამება NQF-ის მე-4 დონეს და აუცილებელია მუშათა რგოლის ზედამხედველობისა და სამუშაო პროცესის ორგანიზაციულ-ანალიტიკური მართვისთვის. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (15 სტუდენტი) გაანგარიშებულია ერთცვლიანი სწავლების მეთოდოლოგიით არსებულ A და C გარემოებებსა და 12-კაციან ადამიანურ რესურსზე დაყრდნობით. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს, ხოლო სახელწოდება ზუსტად შეესაბამება ეროვნულ სტანდარტს (07.22.1) და არ არის შეცდომაში შემყვანი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების კომპონენტში დაფიქსირდა შეფასება „მეტწილად შეესაბამება“. კოლეჯს გააჩნია თეორიული სწავლების A გარემო (№203 აუდიტორია, II კორპუსი) და პრაქტიკული C გარემო (№203 ლაბორატორია, III კორპუსი).

მატერიალური ბაზის სრულყოფის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებული 2026 წლის 27 მაისის №01-04/193 ბრძანებით), რომელიც ითვალისწინებს C გარემოსთვის დანაკლისი აღჭურვილობის (მათ შორის ალუმინის ხარაჩოების, საღებავის მისაფრქვევი დანადგარების, ელექტრო სახეხელებისა და იატაკის მოსახვეწი აპარატების) შესყიდვას 2026 წლის 30 ნოემბრამდე. ექსპერტთა დასკვნით, აღნიშნული დროებითი დანაკლისი არ შეაფერხებს სასწავლო პროცესს სასწავლო გეგმის ლოგიკური სტრუქტურის გამო. ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, 13 მასწავლებლისა და გამოცდილი პროგრამის ხელმძღვანელის (დავით რომანაძე) ჩართულობა, ახალი მასწავლებლების პერსონალური განვითარების გეგმებთან ერთად, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ასევე უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო ფონდის ხელმისაწვდომობა (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით), სსსმ პირთა საჭიროებებზე მორგებული გარემო და რესურსები, ხოლო ბიუჯეტის საპროგნოზო გაანგარიშება (რენტაბელობის ზღვარი 10 სტუდენტი) ადასტურებს ფინანსურ მდგრადობას.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების კომპონენტი შეფასდა სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში. კოლეჯში მოქმედებს დემინგის ციკლზე (PDCA) დაფუძნებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს ოთხივე ძირითადი დაინტერესებული მხარის – პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების – გამოკითხვასა და უკუკავშირის ანალიზს. ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს კვლევის შედეგების დამუშავებასა და EQAVET ინდიკატორების გამოყენებას, რის საფუძველზეც ხორციელდება პროგრამულ-მოდულური ცვლილებების ინიცირება, შიდა რეგულაციებისა და ეროვნული ცენტრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტთა შეფასების კომპონენტში აღინიშნა, რომ სასწავლო გეგმა გაწერილია 60 კვირაზე (3 ზოგადი და 13 პროფესიული მოდული), კვირეული დატვირთვით არაუმეტეს 40 საათისა. სასწავლო პროცესი მოქნილად ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შორის სსსმ და შშმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და ასისტენტის მომსახურების შეთავაზებას. სწავლებისას გამოიყენება თანამედროვე ინტერაქციული მეთოდები და ელექტრონული პლატფორმა Microsoft Teams (3 მოდულის დისტანციური/ჰიბრიდული სწავლებისათვის). C გარემოს ლაბორატორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების მკაცრი ნორმები და დანერგილია ნარჩენების მართვის მექანიზმი ქობულეთის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების (№03-08/56) საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებს, მოიცავს ინსტრუმენტებისა და პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმს ხარისხის სამსახურის მიერ, უზრუნველყოფს მტკიცებულებათა 3 წლის ვადით შენახვას და ორიენტირებულია სტუდენტთა შემდგომ განვითარებაზე კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდების გზით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – სანტექნიკური სამუშაოების შესრულება (Plumbing Works)

პროგრამა შეესაბამება მესამე დონეს, რომლის სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0732. პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 11 მაისის №01-04/128 ბრძანებით. კურსდამთავრებულს ენიჭება საბაზო პროფესიული კვალიფიკაციას სანტექნიკური სამუშაოების შესრულებაში. სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის №154-ში მდებარე ინფრასტრუქტურულ სივრცეში. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია იმიტირებულ სამუშაო გარემოში (დუალური/კოოპერაციული ფორმის გარეშე). არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 67 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის – 82 კრედიტს (რომელიც მოიცავს ქართული ენის A2 მოდულს). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

მიერ სრულად არის გაზიარებული და დადასტურებული კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30 პროფესიული სტუდენტის ოდენობით, რაც ორცვლიანი სწავლებისა და შეჭრილი გრაფიკის პირობებში სრულად შეესაბამება არსებულ რესურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტი შესაბამისია დადგენილ სტანდარტებთან. პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა დასაბუთებულია კოლეჯის შიდა მეთოდოლოგიის შესაბამისად, 13-პუნქტიანი არგუმენტირების ცხრილით, სადაც გაანალიზებულია რეგიონული (აჭარის ინფრასტრუქტურული პრიორიტეტები), ეროვნული (საქსტატის მონაცემები სამშენებლო სექტორის 10.3%-იან ზრდაზე) და საერთაშორისო (ILO, CEDEFOP, ISCO-08 7126) შრომის ბაზრის მოთხოვნები. დასაბუთებულია, რომ რეგიონში აღნიშნული პროგრამა სხვა კოლეჯის მიერ არ ხორციელდება. პროგრამის განხორციელებაზე მიღებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის თანხმობა (13.03.2026 №307904 წერილი). პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება, რაც სრულად თავსებადია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე დონის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ეფუძნება A, B და C სასწავლო გარემოების გამტარიანობასა და ადამიანური რესურსის (16 პირი) გაანგარიშებას. პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო ლიტერატურა განთავსებულია ბიბლიოთეკაში. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს, მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, ხოლო შემუშავების პროცესი სრულად პასუხობს მოქმედ კანონმდებლობასა და შიდა მარეგულირებელ აქტებს.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსის კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა მეტწილად შესაბამისად, ხოლო მთლიანი სტანდარტი – მეტწილად შესაბამისად. დაწესებულებას გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი A (თეორიული II-302), B (კომპიუტერული ლაბორატორია I-103) და C (სანტექნიკური ლაბორატორია II-102) გარემოები. C გარემოში განთავსებულია სპეციალიზებული აპარატურა, მათ შორის შპს „სიდოს“ მიერ საჩუქრად გადაცემული 58 დასახელების ინვენტარი (12.09.2024 მიღება-ჩაბარების აქტი). ამასთან, კოლეჯს დამტკიცებული აქვს შესაბამისობის გეგმა (ბრძანება №01-04/193, 27.05.2026), რომლის ფარგლებშიც 2026 წლის 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე ხორციელდება დამატებით 91 დასახელების ინვენტარის შესყიდვა. ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია აღნიშნული შესყიდვების დროულად დასრულებაზე, თუმცა აღინიშნა, რომ სასწავლო გეგმის სტრუქტურა გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხებას. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 16 მასწავლებელი (2 დარგობრივი, 14 ზოგადი), რომელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 32 საათს და თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი. დარგობრივი მოდულების ახალბედა მასწავლებლებისთვის და პროგრამის ხელმძღვანელისთვის (ნუგზარ ბედინაძე) შემუშავებულია განვითარების გეგმა. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. სსსმ და შშმ პირთათვის უზრუნველყოფილია ადაპტირებული გარემო, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი, ასისტენტის მხარდაჭერა და 15%-იანი კვოტა. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებითა და 11-სტუდენტიანი რენტაბელობის ზღვრით.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების კომპონენტში დადასტურდა სრული შესაბამისობა. კოლეჯში მოქმედებს დემინგის (PDCA) ციკლზე დაფუძნებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შიდა (სტუდენტები, მასწავლებლები) და გარე (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას სპეციალური კითხვარებით. ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს მონაცემთა ანალიზს EQAVET ინდიკატორების გათვალისწინებით.

პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურა მკაფიოდ არის რეგლამენტირებული შიდა მეთოდოლოგიით, სადაც ინიცირების უფლება აქვს ყველა ჩართულ მხარეს, ხოლო ინფორმაციის გავრცელება ხდება E-flow სისტემითა და ვებ-გვერდის მეშვეობით.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კომპონენტში დაწესებულებამ აჩვენა სრული შესაბამისობა. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით (48 კვირა, კვირაში მაქსიმუმ 40 საათი), სადაც გაწერილია კალენდარული გეგმები და განრიგი. სასწავლო პროცესი მოქნილად პასუხობს სტუდენტთა ინტერესებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და ელექტრონული/დისტანციური სწავლების კომპონენტების (Microsoft Teams-ის პლატფორმის გამოყენებით) დანერგვით. სწავლება მოიცავს თანამედროვე ინტერაქციულ მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. უსაფრთხო სასწავლო გარემო გარანტირებულია ლაბორატორიის უსაფრთხოების სპეციალური წესებით (ბრძანება №01-04/133, 14.05.2026), ნარჩენების მართვის მექანიზმით (ბრძანება №01-04/214, 28.07.2026) და ქობულეთის მერიასთან გაფორმებული სამშენებლო ნარჩენების გატანის ხელშეკრულებით (№03-08/56). შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური; მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მრავალდონიანი მექანიზმები (ბრძანება №01-04/147), რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. შეფასების მტკიცებულებები ინახება სტუდენტთა პორტფოლიოებში 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები – მუდმივად. შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და კონსულტირებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ხის მხატვრული დამუშავება (Wood Artistic Processing)

აღნიშნული პროგრამა შეესაბამება მეოთხე დონეს, რომლის სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0214. პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 11 მაისის №01-04/128 ბრძანებით. კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის ხის მხატვრულ დამუშავებაში. სწავლების ენაა ქართული, განხორციელების ადგილია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის №154-ში მდებარე ინფრასტრუქტურულ სივრცე. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია იმიტირებულ სამუშაო გარემოში (დუალური/კოოპერაციული სწავლების ფორმის გარეშე). არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 86 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის – 116 კრედიტს (რომელიც მოიცავს ქართული ენის A2 და B1 მოდულებს). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ არის გაზიარებული და დადასტურებული კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 15 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში დაწესებულებამ აჩვენა სრული შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან. პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა დასაბუთებულია კოლეჯის შიდა მეთოდოლოგიის შესაბამისად, 13-პუნქტიანი არგუმენტირების ცხრილით, სადაც გაანალიზებულია რეგიონული (ინტერიერის დეკორი, ისტორიული შენობების რესტავრაცია და სუვენირების წარმოება), ეროვნული (ავეჯის წარმოებისა და ხის დამუშავების ინდუსტრია) და საერთაშორისო (ILO, CEDEFOP, ISCO-08 7317 და 7522) შრომის ბაზრის მოთხოვნები. დასაბუთებულია, რომ რეგიონში აღნიშნული პროგრამა სხვა კოლეჯის მიერ არ ხორციელდება და ეყრდნობა 2017 წლიდან პროგრამის განხორციელების რეალურ გამოცდილებასა და მიღების სტატისტიკას. პროგრამის განხორციელებაზე მიღებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის თანხმობა (13.03.2026 №307904 წერილი). პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც სრულად თავსებადია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის

მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ეფუძნება A, B და ორი C სასწავლო გარემოების გამტარიანობასა და ადამიანური რესურსის (15 პირი) გაანგარიშებას. პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო ლიტერატურა განთავსებულია ბიბლიოთეკაში. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს, მისი სახელწოდება ზუსტად ასახავს შინაარსს (სტანდარტის სარეგისტრაციო №02.9.1) და არ არის შეცდომაში შემყვანი, ხოლო შემუშავების პროცესი სრულად პასუხობს მოქმედ კანონმდებლობასა და შიდა მარეგულირებელ აქტებს.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსის კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა მეტწილად შესაბამისად, ხოლო მთლიანი სტანდარტი – მეტწილად შესაბამისად. დაწესებულებას გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი A (თეორიული II-508), B (კომპიუტერული ლაბორატორია I-103) და სამი დამოუკიდებელი C გარემო (IV-101 ხის დამუშავების ჩარხები; III-104 ხელის ელექტრო ინსტრუმენტები; II-201 CNC და ლაზერული ჭრის/გრაზირების დანადგარები). კოლეჯს დამტკიცებული აქვს შესაბამისობის გეგმა (ბრძანება №01-04/193, 27.05.2026), რომლის ფარგლებშიც 2026 წლის 1 ივნისიდან 30 ნოემბრამდე ხორციელდება 32 დასახელების ხელსაწყო/აღჭურვილობის შესყიდვა. სასწავლო გეგმის სტრუქტურა გამორიცხავს შესასყიდი რესურსების გამო სასწავლო პროცესის შეფერხებას. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 15 მასწავლებელი (5 დარგობრივი, 10 ზოგადი), ხოლო 12 დარგობრივი მოდულიდან დადასტურებულია მინიმუმ ორი განმახორციელებლის არსებობა. ყველა მასწავლებელსა და პროგრამის ხელმძღვანელს (მელორ ვერულიძე) გააჩნია დარგობრივი კვალიფიკაცია და სწავლების პრაქტიკული გამოცდილება. საგანმანათლებლო რესურსები (მათ შორის AutoCAD, ArchiCAD და ჩუქურთმის ელექტრონული წიგნები) ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. სსსმ და შშმ პირთათვის უზრუნველყოფილია ადაპტირებული გარემო, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი, ასისტენტის მხარდაჭერა და 15%-იანი კვოტა. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებითა და 11-სტუდენტის რენტაბელობის ზღვრით.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების კომპონენტში დადასტურდა შესაბამისობა. კოლეჯში მოქმედებს დემინგის (PDCA) ციკლზე დაფუძნებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი. შეფასების სისტემა მოიცავს შიდა (სტუდენტები, მასწავლებლები) და გარე (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას სპეციალური კითხვარებით. ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს მონაცემთა ანალიზს EQAVET ინდიკატორების გათვალისწინებით. პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურა მკაფიოდ არის რეგლამენტირებული შიდა მეთოდოლოგიით, სადაც ინიცირების უფლება აქვს ყველა ჩართულ მხარეს, ხოლო ინფორმაციის გავრცელება ხდება E-flow სისტემითა და ვებ-გვერდის მეშვეობით.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კომპონენტი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“. სასწავლო პროცესი წარმართება დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით (60 კვირა, 3 ზოგადი და 12 პროფესიული მოდული, კვირაში მაქსიმუმ 40 საათი), სადაც გაწერილია კალენდარული გეგმები და განრიგი. სასწავლო პროცესი მოქნილად პასუხობს სტუდენტთა ინტერესებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და ელექტრონული/დისტანციური სწავლების კომპონენტების (Microsoft Teams-ის პლატფორმის გამოყენებით) დანერგვით. სწავლება მოიცავს თანამედროვე ინტერაქტიულ მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. უსაფრთხო სასწავლო გარემო გარანტირებულია ლაბორატორიის უსაფრთხოების სპეციალური წესებით (ბრძანება №01-04/133, 14.05.2026), ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სათვალე, რესპირატორი, სმენის დამცავი) და ნარჩენების შენახვისა და განკარგვის წესით (ბრძანება №01-04/254). შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური; მოქმედებს შეფასების ინსტრუმენტების წინასწარი ვალიდაციისა (სპეციალური ბეჭდით დამოწმება) და ვერიფიკაციის მრავალდონიანი

მექანიზმები (ბრძანება №01-04/147), რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. შეფასების მტკიცებულებები ინახება სტუდენტთა პორტფოლიოებში 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები – მუდმივად. შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი განვითარებისა და კონსულტირებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანი ნათია ბუთხუზი დაინტერესდა შესაბამისობის გეგმის ვადაში შეუსრულებლობის რიკებთან დაკავშირებით, ხომ არ შეუშლიდა ხელს პროფესიული მოდულის განხორციელებას და ჩაეტევიან თუ არა განსაზღვრულ ვადებში თუ ვერ შესრულდა. ავტორიზაციის ექსპერტმა შორენა ალაგარდაშვილმა დაადასტურა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და კვირის დღეების დეტალური შესწავლის საფუძველზე, შესაბამისობის გეგმა არცერთი პროფესიული პროგრამის განხორციელებას საფრთხეს არ უქმნის და პროცესი სრულად ჯდება დადგენილ ვადებში.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე შეეხო „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურების“ პროგრამას და იკითხა, არსებობდა თუ არა კონკრეტული მაგალითი იმისა, როდესაც შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა უკუკავშირის საფუძველზე პროგრამაში რეალური ცვლილება განხორციელდა. ექსპერტმა შორენა ალაგარდაშვილმა განმარტა, რომ დამსაქმებელთა მხრიდან იკვეთებოდა მოთხოვნა კადრებზე და არა პროგრამულ ცვლილებებზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუებისას წინა სტანდარტთან შედარებით ცვლილებების საჭიროება არ გამოკვეთილა, თუმცა დაწესებულებამ მზაობა გამოთქვა, რომ ახალი პროგრამების დამტკიცების შემდეგ დაიწყება მუშაობა მათ შემდგომ შეფასებასა და განვითარებაზე. გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხის დამუშავების მიმართულებით გამოიკვეთა ინტერესი მოკლევადიანი მომზადება/ გადამზადების პროგრამებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა ვერიფიკაციისა და ვალიდაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და კოლეჯის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ. ექსპერტებმა შორენა ალაგარდაშვილმა და გვანცა ძამაშვილმა აღნიშნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული იყო ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც კოლეჯი მუდმივად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესებას. შეფასების პროცესამდე ორი კვირით ადრე ახალი ინსტრუმენტი ხელახლა წარედგინება სასწავლო პროცესს ვალიდაციისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ავტორიზაციის დასკვნაში მარეგულირებელი წესების ციტირების ნაცვლად მნიშვნელოვანია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების წარმოდგენა. ექსპერტმა შორენა ალაგარდაშვილმა გაიზიარა აღნიშნული შენიშვნა და დაადასტურა, რომ კოლეჯს შიდა პროცედურები მოწესრიგებული აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დასკვნაში სასურველი იყო დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკის ასახვა. ექსპერტმა, შორენა ალაგარდაშვილმა, დაადასტურა, რომ კოლეჯს ინკლუზიური განათლების კუთხით ნამდვილად ჰქონდა საუკეთესო პრაქტიკა, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში არ ასახულა.

შემდგომ საკითხზე გადასვლისას, საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ პროგრამის დასაბუთებაზე, სადაც საერთაშორისო ბაზრის ანალიზისთვის გამოყენებული იყო LinkedIn-ის ვაკანსიები აშშ-სა და კანადიდან. ექსპერტმა შორენა ალაგარდაშვილმა დაადასტურა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ტექნიკურ შეცდომას წარმოადგენდა.

მატერიალური რესურსების შეძენის ვადებთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარის კითხვას უპასუხა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა. მან განმარტა, რომ სასწავლო გეგმა იმგვარად არის შედგენილი, რომ გარკვეული ინვენტარის შეძენის 30 ნოემბრამდე გადავადება სწავლის დაწყებასა და სწავლის შედეგების მიღწევას ხელს არ შეუშლის.

საბჭოს თავმჯდომარემ დეტალურად ისაუბრა შეფასების კრიტერიუმებში არსებულ ლოგიკურ უზუსტობაზე: მატერიალური რესურსი, რომელიც ნაწილობრივ ადგილზე იყო და ნაწილობრივ შესაბამისობის გეგმას ეფუძნებოდა, შეფასდა „მეტწილად შესაბამისად“, ხოლო პერსონალი, რომლის ტრენინგები და კომპეტენციების ფორმირება ასევე სექტემბერ-ნოემბერში იყო დაგეგმილი — „სრულ შესაბამისობაში“. ექსპერტებმა, შორენა ალაგარდაშვილმა და ირმა ღარიბაშვილმა, განმარტეს, რომ პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა მათი მაღალი პროფესიონალიზმი და პირველადი ინსტრუქტაჟის არსებობა, ხოლო დაგეგმილი ტრენინგები პერსონალის განვითარებას ემსახურებოდა. თუმცა, საბჭოს თავმჯდომარის მიერ დასკვნის ციტირების შემდეგ — სადაც აღნიშნული იყო, რომ გამოცდილება ჯერ ფორმირების პროცესშია — ექსპერტმა შორენა ალაგარდაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის აღწერით ნაწილში პოზიცია არასაკმარისად ნათლად იყო გადმოცემული, რაც ექსპერტთა ჯგუფის ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა დასკვნაში არსებულ სხვა ტექნიკურ აცდენებზეც, კერძოდ, განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობრივ სხვადასხვაობაზე ტექსტურ ნაწილსა და დანართებს შორის (11, 12 თუ 13 განმახორციელებელი). ექსპერტმა შორენა ალაგარდაშვილმა დაადასტურა აღნიშნული ხარვეზების არსებობა, რაც გამოწვეული იყო დასკვნების მომზადების შემჭიდროებული ვადებით (სამ დღეში ხუთი პროგრამის დასკვნა), და ითხოვა ნებართვა, რომ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გასწორდეს ყველა ტექნიკური ხარვეზი და საბჭოს წარედგინოს დასკვნის საბოლოო, კორექტირებული ვერსია.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ყურადღება გაამახვილა „სანტექნიკური სამუშაოების შესრულების“ პროგრამის ადამიანურ რესურსზე. მან აღნიშნა, რომ დასკვნის თანახმად, 16 განმახორციელებელიდან მხოლოდ 2 პედაგოგი ახორციელებს 8 დარგობრივ მოდულს. თავმჯდომარემ დასვა კითხვა 30 სტუდენტის, 2 ცვლისა და 8 დარგობრივი მოდულის პირობებში ორადგილიანი პედაგოგიური რესურსის მდგრადობისა და შესაძლო ფორსმაჟორულ სიტუაციებში (ერთ-ერთი მასწავლებლის გამოუცხადებლობისას) ჩანაცვლების მექანიზმების შესახებ.

დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა და ავტორიზაციის ექსპერტმა შორენა ალაგარდაშვილმა განმარტეს, რომ ორი განმახორციელებლის არსებობა აკმაყოფილებს ინდიკატორის მინიმალურ მოთხოვნას. ექსპერტების განცხადებით, საათობრივი დატვირთვის, სასწავლო გეგმის, ცხრილებისა და აუდიტორიების დეტალური შესწავლით დადგინდა, რომ კვირის დღეების სწორი გადანაწილებითა და ორ ცვლაში სწავლებით შესაძლებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა და პედაგოგთა ურთიერთჩანაცვლება.

„ხის მხატვრული დამუშავების“ პროგრამასთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ მიუთითა ტექნიკურ უზუსტობაზე სასწავლო გარემოს აღწერაში (ორ და სამ ლაბორატორიას შორის) და კვლავ შეეხო ბაზრის კვლევის დასაბუთებაში ისეთი საერთაშორისო წყაროების გამოყენებას (ILO, CEDEFOP, Skills Panorama), რომლებიც პირდაპირ კავშირში არ არის აჭარის რეგიონში ან საქართველოში აღნიშნულ სპეციალობაზე ადგილობრივ მოთხოვნასთან. ექსპერტმა შორენა ალაგარდაშვილმა განმარტა, რომ აღწერა ეფუძნებოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებასა და ბმულებს.

დოკუმენტაციაში მითითებული რენტაბელობის ზღვართან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რამდენად რეალურია „ხის მხატვრული დამუშავების“ პროგრამაზე განსაზღვრული 11-სტუდენტიანი ზღვარი (15-იანი კვოტიდან) და რა ფინანსური მექანიზმი გააჩნია კოლეჯს ნაკლები სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში. ექსპერტმა შორენა ალაგარდაშვილმა დაადასტურა, რომ დაწესებულების ფინანსურ მენეჯერთან ერთად ხუთივე პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი გადამოწმდა და რენტაბელობა სწორად არის დათვლილი, თუმცა აღნიშნა, რომ ზღვარზე ნაკლები სტუდენტის მიღებისას რისკების დაფარვის კონკრეტული სიღრმისეული საკითხები ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე არ შეუსწავლია.

საბჭოს წევრმა გოჩა გოგიტიძემ აღნიშნა, რომ პროგრამების განხორციელებისას ფინანსური რისკები ყოველთვის არსებობს, ხოლო კრიტიკულად დაბალი კონტინგენტის შემთხვევაში

მოქმედებს საქართველოს მთავრობის N244 დადგენილება, რომელიც შესაბამისი კოეფიციენტების გამოყენებით უზრუნველყოფს ჯგუფისა და პროგრამის მდგრადობის მხარდაჭერას. საბჭოს თავმჯდომარემ გაიზიარა აღნიშნული პოზიცია და ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულება უკეთ უნდა ფლობდეს აღნიშნულ მექანიზმებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ "ახალი ტალღისთვის" "სამშენებლო სამღებრო სამუშაოები", "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი", "სანტექნიკური სამუშაოების შესრულება"; "ხის მხატვრული დამუშავება", "გათბობის ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: "სამშენებლო სამღებრო სამუშაოები", "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი", "სანტექნიკური სამუშაოების შესრულება"; "ხის მხატვრული დამუშავება", "გათბობის ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება" (დანართი 5).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 17 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ ჩაინიშნოს მონიტორინგი 2.2 კომპონენტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე („სამშენებლო სამღებრო სამუშაოები“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „სანტექნიკური სამუშაოების შესრულება“, „ხის მხატვრული დამუშავება“ და „გათბობის, ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“). მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, ხოლო ვადად – 2026 წლის 30 ნოემბერი.

მეექვსე საკითხი: სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ „კულინარია“, „კონდიტერია“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, „ამწის ოპერირება“, „მძიმე ტექნიკის ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ეკა ბუთხუზი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 ივნისის N760598 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განახორციელონ ვიზიტი სსიპ – კოლეჯ „ახალ ტალღაში“ 2026 წლის 08, 09, 10 ივლისს მისამართზე ქ. ქობულეთი, რუსთაველის №154. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 08, 09 და 10 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ – კოლეჯ „ახალ ტალღაში“. ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს. დაათვალიერეს და შეისწავლეს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სასწავლო რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – კულინარია

გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, კერძოდ: **ინდიკატორი 2.2.1.1** – დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია – დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში – 30.11.2026 წელი – უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კულინარია" პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა კულინარიის ლაბორატორიისთვის დამატებითი აღჭურვილობის შეძენა.

„კულინარიის“ (Cooking) პროგრამა არის მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ გაიცემა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია

კულინარიაში (დეტალური სფეროს კოდი: 1013). პროგრამა დამტკიცებულია 2026 წლის 16 თებერვლის №01-04/37 ბრძანებით. სწავლება განხორციელდება ქართულ ენაზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქობულეთში, რუსთაველის №154-ში. საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება როგორც რეალურ, ისე იმიტირებულ სამუშაო გარემოში, სადაც რეალურ სამუშაო გარემოში სწავლება დუალური ფორმით განხორციელდება. პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეადგენს 73 პროფესიულ სტუდენტს, საიდანაც 13 ადგილი განკუთვნილია დუალური სწავლებისათვის, ხოლო 60 – იმიტირებული გარემოსათვის (მათ შორის 30 ადგილი ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შემცველ სასწავლო გეგმაზე). არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 90 კრედიტს (ხანგრძლივობა 70 კვირა/18 თვე), ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის – 120 კრედიტს. ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტები აგროვებენ 118 კრედიტს (80 კვირა/20 თვე), ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტები – 148 კრედიტს (სადაც ქართული ენის A2 და B1 მოდულების 30 კრედიტი სავალდებულოა მხოლოდ ენობრივი კომპეტენციის არმქონე პირთათვის). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში (2.1.1) დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. „კულინარიის“ პროგრამის დამატების გადაწყვეტილება მჭიდროდ უკავშირდება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს, რაც დასტურდება რეგიონული შრომის ბაზრისა და ტურიზმის სექტორის ანალიზით, სადაც მზარეულებზე მოთხოვნის 20–30%-იანი ზრდაა მოსალოდნელი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (სრული ზოგადი განათლება არაინტეგრირებულზე, საბაზო – ინტეგრირებულზე) შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებსა და შიდა რეგულაციებს. სტუდენტთა 73-იანი ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდოლოგიით, ინფრასტრუქტურული გამტარუნარიანობის, 3 A, 1 B, 2 C სასწავლო გარემოსა და პარტნიორ საწარმოებთან (შპს „ქარაფი“ – 3 სტუდენტი, შპს „ტურიზვესტი“ – 10 სტუდენტი) გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკასა და ვებპორტალზე. არჩევითი მოდული „პრაქტიკული პროექტი – კულინარია“ ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ხოლო პროგრამის პაკეტი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – დირექტორის მიერ, არ არის შეცდომაში შემყვანი და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. კომპონენტი შეფასებულია როგორც „შესაბამება“.

პროგრამის განხორციელების რესურსებით უზრუნველყოფის კუთხით დაწესებულება მეტწილად შეესაბამება სტანდარტს. კოლეჯს გააჩნია სათანადო A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, კომპიუტერული ტექნიკა, დისტანციური სწავლების პლატფორმა (Teams) და შესაბამისი მარეგულირებელი წესი. თუმცა, C გარემოს სრულყოფილი ფუნქციონირებისა და პრაქტიკული სწავლების სტანდარტებთან მოყვანის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის 30 ნოემბრამდე დაგეგმილია დამატებითი ინვენტარის (ცომის საგლინავი მაგიდა, ელექტრო ხორცსაკეპი, დოზატორები, პასტის საბრტყელებელი, ფრის აპარატი და ა.შ.) შესყიდვა, რის გამოც პირველი ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისობაში. პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 31 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მასწავლებლები და პროგრამის ხელმძღვანელი ფლობენ შესაბამის დარგობრივ და პედაგოგიურ კომპეტენციებს, რასაც ადასტურებს მათი გამოცდილება და ჩატარებული ტრენინგები. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია მატერიალური და ელექტრონული რესურსებით (მათ შორის matsne.gov.ge-ს ბაზით), ხოლო სსსმ პირთათვის შექმნილია ადაპტირებული გარემო და ინდივიდუალური გეგმების დანერგვის მექანიზმები. პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია ვაუჩერული დაფინანსებითა და გათვლილი საპროგნოზო ბიუჯეტით (რენტაბელობის ზღვარი: 11-13 სტუდენტი).

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების კომპონენტში დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან. კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება დემინგის ციკლს (დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – განავითარე). პროგრამის შეფასება ხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და ვერიფიკაციის გზით. კვლევების ანალიზი და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები საფუძვლად უდევს პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანას. დუალურ კომპონენტში ცვლილებები ხორციელდება პარტნიორ საწარმოებთან შეთანხმებითა და დირექტორის ინდივიდუალური აქტით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ განვითარებასა და აქტუალობას. კომპონენტი შეფასებულია როგორც „შესაბამება“.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიმართულებით კოლეჯი აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და ცხრილების შესაბამისად, სადაც დაცულია სტუდენტთა კვირული დატვირთვა (მაქსიმუმ 40 საათი) და განმეორებითი შეფასების გონივრული ვადები. დაწესებულება იჩენს მოქნილობას სტუდენტთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების მიმართ, იყენებს სწავლების თანამედროვე ინტერაქტიულ მეთოდებსა და ტექნოლოგიებს (მათ შორის LMS პლატფორმას), და უზრუნველყოფს მასწავლებელთა პერიოდულ გადამზადებას. დუალური სწავლების ფარგლებში პარტნიორებთან (შპს „ქარაფი“ და შპს „ტურინვესტი“ – პარტნიორი დაწესებულებები ფლობენ სასწავლო საწარმოს სტატუსს) გაფორმებული შრომითი და პარტნიორული ხელშეკრულებები მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს, ანაზღაურებად პრაქტიკასა და უსაფრთხოების გარანტიებს. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია შრომის, ხანძარსა და სხვა საფრთხეებისგან და ლაბორატორიული უსაფრთხოების წესებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური, მოიცავს შიდა ვერიფიკაციის სამეტაპიან მექანიზმს (ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმება), უზრუნველყოფს მტკიცებულებათა შენახვას უწყისების გაფორმებიდან 3 წლის ვადით (უწყისები ინახება მუდმივად) და აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებას სტუდენტთა შემდგომი პროგრესისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება

აღნიშნულ პროგრამაზე გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები, კერძოდ:

2.1.1.1 განმავითარებელი რეკომენდაცია – მიზანშეწონილია კოლეჯმა პროგრამის მიზანშეწონილობის კვლევისას უფრო ფართო მასშტაბით ასახოს საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები;

2.2.1.3 განმავითარებელი რეკომენდაცია – პროფესიული მოდულის „ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები“ 1,2,3 სწავლის შედეგის განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნულ მოდულს დაემატოს დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;

2.2.1.5 განმავითარებელი რეკომენდაცია – მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს სხვადასხვა ავტო მწარმოებლის ტექ. მომსახურების და რემონტის სახელმძღვანელოს მოძიება და სწავლების პროცესში მისი პრაქტიკული გამოყენება.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთებაში (დეტალური სფეროს კოდი: 0716). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №01-04/37 ბრძანებით. სწავლება განხორციელდება ქართულ ენაზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქობულეთში, რუსთაველის №154 მისამართზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული სწავლების ფორმით. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 სტუდენტს, ხოლო

ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შემცველი სასწავლო გეგმა პროგრამით გათვალისწინებული არ არის. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 79 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის – 94 კრედიტს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება შეესაბამება კოლეჯის მისიაში გაწერილ პრიორიტეტებსა და 2026-2032 წლების სტრატეგიულ განვითარების გეგმას. შრომის ბაზრისა და ვაკანსიების კვლევების (LMIS, GFA, PMCG, უნარების სააგენტო) ანალიზი ადასტურებს სფეროში კადრების მაღალ მოთხოვნას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ კოლეჯმა სამომავლოდ უფრო ფართო მასშტაბით ასახოს საკუთარი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც შეესაბამება სტანდარტს. 40-იანი ზღვრული კონტიგენტი განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდოლოგიით, არსებული ინფრასტრუქტურის (1 A, 1 B, 1 A/C გარემო) გამტარუნარიანობისა და ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით. სასწავლო და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას არ გააჩნია არჩევითი მოდულები, იგი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – დირექტორის მიერ, სახელწოდება შეესაბამება შინაარსს და დოკუმენტაცია სრულად პასუხობს მოქმედ კანონმდებლობას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების კომპონენტი ასევე სრულ შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან. კოლეჯს გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი A, B და A/C სასწავლო გარემო. „ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილის სერვისის“ მოდულის ორი სწავლის შედეგის განხორციელების მიზნით გაფორმებულია მემორანდუმი შპს „ჯი თი მოტორსთან“, რომლის ბაზაც აღჭურვილია თანამედროვე სადიაგნოსტიკო აპარატურითა და ინსტრუმენტებით. ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების თავდაპირველი თვითშეფასება ინდიკატორის მეტწილ შესაბამისობაზე შესაბამისობის გეგმასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ არსებული რესურსი და ალტერნატიული მედია საშუალებები სრულად უზრუნველყოფს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, რის გამოც 2.2.1.1 ინდიკატორი მიიჩნია სრულ შესაბამისობაში. პროგრამას ახორციელებს 10 პროფესიული მასწავლებელი, რომელთაც გააჩნიათ სათანადო კომპეტენცია და ჩატარებული აქვთ პედაგოგიური ტრენინგები. „ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოების“ მოდულის ეფექტურად წარმართვისთვის გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ენის სპეციალისტებთან ერთად მოდულს დაემატოს დარგობრივი კომპეტენციის მქონე მასწავლებელი. პროგრამას ჰყავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი. სასწავლო ლიტერატურა და „სერვის მანუალები“ ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკასა და ელექტრონულ ბაზებში, სადაც ასევე გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია ავტომწარმოებლების ტექ-მომსახურების სახელმძღვანელოების მუდმივი განახლების შესახებ. სსსმ პირთათვის უზრუნველყოფილია ადაპტირებული გარემო და ინდივიდუალური გეგმების დანერგვის მექანიზმები, ხოლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია საპროგნოზო ბიუჯეტითა და ვაუჩერული დაფინანსებით (რენტაბელობის ზღვარი: 11 სტუდენტი).

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების კომპონენტში დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ეფუძნება დემინგის ციკლს (დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – განავითარე). პროგრამის შეფასება მოიცავს სწავლების პროცესის, ინფრასტრუქტურის, მასწავლებლებისა და რესურსების მონიტორინგს, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვისა და შიდა ვერიფიკაციის გზით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება ცვლილებები პროგრამაში ან მოდულებში დადგენილი წესის შესაბამისად.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიმართულებით (2.4.1 და 2.4.2) კოლეჯი აკმაყოფილებს ყველა დადგენილ კრიტერიუმს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო და კალენდარული გეგმების შესაბამისად, სადაც დაცულია სტუდენტის კვირული დატვირთვა (მაქსიმუმ 40 საათი) და განმეორებითი შეფასების გონივრული ვადები. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სტუდენტთა ინტერესებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე. გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები, ელექტრონული პლატფორმები (LMS) და სადიაგნოსტიკო ტექნოლოგიები. პარტნიორ ორგანიზაციასთან (შპს „ჯი თი მოტორსი“) გაფორმებული მემორანდუმი უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის უსაფრთხო და სტანდარტების შესაბამის გარემოში განხორციელებას. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების საშუალებებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური; იგი მოიცავს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმებს (ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმება). შეფასების მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით (უწყისები – მუდმივად), ხოლო შეფასების შედეგები და განმავითარებელი უკუკავშირი გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი პროგრესისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – კონდიტერია

აღნიშნულ პროგრამაზე გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, კერძოდ, **ინდიკატორი 2.2.1.1** – დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია – დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში – 30.11.2026 წელი – უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კონდიტერია" პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა კონდიტერიის ლაბორატორიისთვის დამატებითი აღჭურვილობის შეძენა.

„კონდიტერიის“ პროგრამა შეესაბამება მეოთხე დონეს, რომლის დასრულების შემდეგ გაიცემა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში (დეტალური სფეროს კოდი: 1013). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №01-04/37 ბრძანებით. სწავლება განხორციელდება ქართულ ენაზე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქობულეთში, რუსთაველის №154 მისამართზე. საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60 პროფესიულ სტუდენტს, საიდანაც 30 ადგილი გათვლილია იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 90 კრედიტს (19 პროფესიული, 3 ზოგადი და 1 არჩევითი მოდული; ხანგრძლივობა 70 კვირა/18 თვე), ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის – 120 კრედიტს. ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტები აგროვებენ 118 კრედიტს (6 ინტეგრირებული ზოგადი, 19 პროფესიული, 2 ზოგადი და 1 არჩევითი მოდული; ხანგრძლივობა 80 კვირა/20 თვე), ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტები – 148 კრედიტს (სადაც ქართული ენის A2 და B1 მოდულების 30 კრედიტი სავალდებულოა მხოლოდ იმ პირთათვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ენობრივი კომპეტენცია). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში დაწესებულება აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. „კონდიტერიის“ პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს, რასაც ზურგს უმაგრებს რეგიონში კვების ინდუსტრიის, კაფე-ბარებისა და სასტუმროების სწრაფი ზრდა, შრომის ბაზრის კვლევები (LMIS, GFA, PMCG, პროფესიული უნარების სააგენტო) და კურსდამთავრებულთა მონიტორინგის შედეგები (გამოკითხულთა 90% დასაქმდა პირველი 6 თვის განმავლობაში, მათ შორის 70% თვითდასაქმდა). პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

(სრული ზოგადი განათლება არაინტეგრირებულზე, საბაზო – ინტეგრირებულზე) შეესაბამება ეროვნულ სტანდარტსა და შიდა წესებს. სტუდენტთა 60-იანი ზღვრული რაოდენობა (ერთ მიღებაზე 30 სტუდენტი) განსაზღვრულია შესაბამისი მეთოდოლოგიით, არსებული ინფრასტრუქტურის (2 A, 1 B, 2 C გარემო) გამტარუნარიანობისა და ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით. სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკასა და ვებგვერდზე. არჩევითი მოდული „პრაქტიკული პროექტი – კონდიტერია“ (5 კრედიტი) ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის მიერ, არ არის შეცდომაში შემყვანი და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამის განხორციელების რესურსებით უზრუნველყოფის კუთხით დაწესებულება მეტწილად შეესაბამება სტანდარტს. კოლეჯს გააჩნია 15 სტუდენტზე გათვლილი A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, ინტეგრირებული ლაბორატორიები, დისტანციური სწავლების პლატფორმა (Teams) და შესაბამისი მარეგულირებელი ბაზა. თუმცა, კონდიტერიის ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად არ შეესაბამება სტანდარტს; პრაქტიკული კომპონენტის, კერძოდ „პურ-ფუნთუშეულის მომზადების“ მოდულის სრულყოფილად განხორციელებისათვის აუცილებელია ლევიტაციის (ფერმენტაციის) კარადის შეძენა, რისთვისაც კოლეჯმა წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (შესყიდვის პერიოდი: 01.06.2026–30.11.2026), რის გამოც პირველი ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისობაში. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 28 პროფესიული მასწავლებელი (რომელთა კვირეული დატვირთვა ორცვლიან რეჟიმში არ აღემატება 32 საათს) და დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია მატერიალური და ელექტრონული რესურსებით (მათ შორის matsne.gov.ge-ს ბაზით), სსსმ პირთათვის შექმნილია ადაპტირებული გარემო და ინდივიდუალური გეგმების მექანიზმები, ხოლო ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ვაუჩერული/პროგრამული დაფინანსებითა და საპროგნოზო ბიუჯეტით (რენტაბელობის ზღვარი: 11-12 სტუდენტი).

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების კომპონენტში დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ეფუძნება დემინგის ციკლს (დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – განავითარე). პროგრამის შეფასება მოიცავს სასწავლო პროცესის, მასწავლებლებისა და რესურსების მონიტორინგს, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვისა და ვერიფიკაციის გზით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზეც ინიცირდება და ხორციელდება ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში ან მოდულებში დადგენილი წესის შესაბამისად. კომპონენტი შეფასებულია როგორც „შესაბამება“.

სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიმართულებით (2.4.1 და 2.4.2) კოლეჯი აკმაყოფილებს ყველა დადგენილ კრიტერიუმს და ორივე კომპონენტში მიღებული აქვს შეფასება „შესაბამება“. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დამტკიცებული სასწავლო და კალენდარული გეგმების შესაბამისად, სადაც დაცულია სტუდენტის კვირეული დატვირთვა (მაქსიმუმ 40 საათი). პროცესი ორიენტირებულია სტუდენტთა ინტერესებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე, გამოიყენება სწავლების თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდები, ელექტრონული პლატფორმები (LMS) და დარგობრივი ტექნოლოგიები. გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში კოლეჯი თანამშრომლობს პარტნიორ კომპანიებთან (ექსკურსიები, საწარმოო ვიზიტები). სასწავლო გარემო (C ლაბორატორიები) უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების საშუალებებით. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური; იგი მოიცავს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმებს (ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმება), უზრუნველყოფს მტკიცებულებათა შენახვას უწყისების გაფორმებიდან 3 წლის ვადით (უწყისები ინახება მუდმივად), ხოლო შეფასების შედეგები და განმავითარებელი უკუკავშირი გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი პროგრესისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – მძიმე ტექნიკის ოპერირება

აღნიშნულ პროგრამაზე გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია, კერძოდ: **ინდიკატორი 2.2.1.1** – დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია – დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში – 30.11.2026 წელი – უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მძიმე ტექნიკის ოპერირება“ პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა მძიმე ტექნიკის ოპერირების ლაბორატორიისთვის დამატებითი აღჭურვილობის შეძენა.

პროგრამა „მძიმე ტექნიკის ოპერირება“ (Operating Heavy Vehicle) მიეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და სტუდენტს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას მძიმე ტექნიკის ოპერირებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 1041). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 11 მაისის №01-04/128 ბრძანებით და მისი განხორციელების ენას წარმოადგენს ქართული. საგანმანათლებლო საქმიანობა დაგეგმილია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქობულეთში, რუსთაველის №154-ში მდებარე მისამართზე, იმიტირებულ სამუშაო გარემოში, რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური/კოოპერაციული) სწავლების ფორმის გარეშე. პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს, ხოლო ინტეგრირებული ზოგადი მოდულების კომპონენტი პროგრამაში გათვალისწინებული არ არის. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 70 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის – 100 კრედიტით, საიდანაც 30 კრედიტი ეთმობა ქართული ენის (A2 და B1) სავალდებულო მოდულებს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურდა შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან. პროგრამის განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევასა და რეგიონულ საჭიროებებს, რაც მზარდი სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტების ფონზე სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას, ხოლო ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მართვის პროცედურები გამჭვირვალედ არის დარეგულირებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (30 ადგილი) გაანგარიშებულია დაწესებულებაში მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად, არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ბიბლიოთეკაში დაცული ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა, სრულად შეესაბამება მოდულების შინაარსს. პროგრამა ასევე მოიცავს ლოგიკურად დაკავშირებულ არჩევით მოდულს „საგზაო მოძრაობის წესები მძიმე ტექნიკის უსაფრთხოდ ოპერირებისთვის“. პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს მის შინაარსს, შემუშავებულია მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნებისა და პროფესიული სტანდარტის დაცვით და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – კოლეჯის დირექტორის მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფმა დაფიქსირა შეფასება „მეტწილად შეესაბამება“. კოლეჯი ფლობს შესაბამის B აუდიტორიასა და AC ტიპის სპეციალიზებულ ლაბორატორიას, რომელიც აღჭურვილია 15 სამუშაო ადგილზე გათვლილი ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სამი სახის სიმულატორით (დიდთვლიანი სატვირთველი, ავტოგრიდერი, ჰიდრავლიკური ექსკავატორი). სასწავლო პროცესში ასევე გათვალისწინებულია დისტანციური/ჰიბრიდული სწავლების მექანიზმები Microsoft Teams-ის პლატფორმის გამოყენებით. ამასთანავე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული უზრუნველყოფისთვის კოლეჯს წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელიც

ითვალისწინებს დამატებითი სიმულატორებისა (ექსკავატორ-დამტვირთავი, ბულდოზერი, ჩანგლიანი დამტვირთავი) და დამხმარე აღჭურვილობის შესყიდვას 2026 წლის 30 ნოემბრამდე. პერსონალის თვალსაზრისით, პროგრამაში ჩართულია 13 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი (10 ზოგადი და 3 პროფესიული მოდულისთვის), რომელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობას. პროგრამას უძღვება შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, ხოლო საბიბლიოთეკო სივრცე და ელექტრონული ბაზები სრულად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მექანიზმები სსსმ პირთათვის, ხოლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებით, სადაც რენტაბელობის ზღვარი 9 სტუდენტს შეადგენს.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების კომპონენტი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. კოლეჯში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს („დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – განავითარე“). შეფასების სისტემა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს, სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების პერიოდულ გამოკითხვას, აგრეთვე სასწავლო პროცესზე დაკვირვებასა და შიდა ვერიფიკაციას. მიღებული შედეგების საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება სათანადო ცვლილებები და გაუმჯობესებები საგანმანათლებლო პროგრამასა თუ მოდულებში. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიმართულებით დაწესებულება ასევე აკმაყოფილებს სტანდარტს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინასწარ გაწერილი ცხრილისა და სასწავლო გეგმის დაცვით, სტუდენტთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით (მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მექანიზმით). სწავლება მოიცავს თანამედროვე მეთოდოლოგიას, LMS სისტემასა და დარგობრივ ტექნოლოგიებს, ხოლო სასწავლო გარემო სრულად შეესაბამება შრომის უსაფრთხოების, სახანძრო და საევაკუაციო ნორმებს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური, მოიცავს განმავითარებელ და განმსაზღვრელ კომპონენტებს და რეგულირდება აპელაციისა და განმეორებითი შეფასების მკაფიო პროცედურებით. დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების შიდა ვერიფიკაციის მრავალეტაპიანი მექანიზმი, შეფასების უწყისები და მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით (უწყისები – მუდმივად), ხოლო შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ამწის ოპერირება

აღნიშნულ პროგრამაზე გაიცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები, კერძოდ: **ინდიკატორი 2.2.1.1** – დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია – დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (2.2.1 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში – 30.11.2026 წელი – უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ამწის ოპერირება“ პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილი განხორციელებისთვის საჭიროა ამწის ოპერირების ლაბორატორიისთვის დამატებითი აღჭურვილობის შეძენა.

პროგრამა „ამწის ოპერირება“ (Crane operation) მიეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს და სტუდენტს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას ამწის ოპერირებაში (სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 1041). პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 11 მაისის №01-04/128 ბრძანებით და მისი განხორციელების ენას წარმოადგენს ქართული. საგანმანათლებლო საქმიანობა დაგეგმილია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქობულეთში, რუსთაველის №154-ში მდებარე მისამართზე, რეალურ სამუშაო გარემოში (კოოპერაციული სწავლების ფორმით). პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს, ხოლო ინტეგრირებული ზოგადი მოდულების

კომპონენტი პროგრამაში გათვალისწინებული არ არის. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 70 კრედიტით (50 სასწავლო კვირა / 13 თვე), ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის – 100 კრედიტით (70 სასწავლო კვირა), საიდანაც 30 კრედიტი ეთმობა ქართული ენის (A2 და B1) სავალდებულო მოდულებს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურდა შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან. პროგრამის განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევასა და რეგიონულ საჭიროებებს, რაც აჭარაში მზარდი სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტების ფონზე სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას, ხოლო ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მართვის პროცედურები გამჭვირვალედ არის დარეგულირებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა (30 ადგილი) გაანგარიშებულია დაწესებულებაში მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად, არსებული მატერიალური, ადამიანური და პარტნიორი საწარმოს რესურსების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ბიბლიოთეკაში დაცული ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა, სრულად შეესაბამება მოდულების შინაარსს. პროგრამა ასევე მოიცავს ლოგიკურად დაკავშირებულ არჩევით მოდულს „პორტალური ამწის მართვა“. პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს მის შინაარსს, შემუშავებულია მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნებისა და პროფესიული სტანდარტის დაცვით და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – კოლეჯის დირექტორის მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფმა დაფიქსირა შეფასება „მეტწილად შეესაბამება“. კოლეჯი ფლობს შესაბამის B აუდიტორიასა და AC ტიპის სპეციალიზებულ ლაბორატორიას, რომელიც აღჭურვილია 15 სამუშაო ადგილზე გათვლილი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით. კოოპერაციული სწავლების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია მემორანდუმი პარტნიორ ობიექტთან (შპს „მირაჟი“), რომელიც იღებს მზაობას ერთდროულად უზრუნველყოს 30 სტუდენტის სწავლება. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დისტანციური/ჰიბრიდული სწავლების მექანიზმები Microsoft Teams-ის პლატფორმის გამოყენებით. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული უზრუნველყოფისთვის კოლეჯს წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ჯოჯგინა, მობილური, ხიდურა, საავტომობილო და პორტალური ამწეების სიმულატორებისა და დამხმარე აღჭურვილობის შესყიდვას 2026 წლის 30 ნოემბრამდე. პერსონალის თვალსაზრისით, პროგრამაში ჩართულია 14 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი (10 ზოგადი და 4 პროფესიული მოდულისთვის), რომელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროცესის მდგრადობას. პროგრამას უძღვება შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, ხოლო საბიბლიოთეკო სივრცე და ელექტრონული ბაზები სრულად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის მექანიზმები სსსმ პირთათვის, ხოლო პროგრამის ფინანსური მდგრადობა გარანტირებულია სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებით, სადაც რენტაბელობის ზღვარი 10 სტუდენტს შეადგენს.

პროგრამის შეფასებისა და განვითარების კომპონენტი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. კოლეჯში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს („დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – განავითარე“). შეფასების სისტემა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს, სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების პერიოდულ გამოკითხვას, აგრეთვე სასწავლო

პროცესზე დაკვირვებასა და შიდა ვერიფიკაციას. მიღებული შედეგების საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება სათანადო ცვლილებები და გაუმჯობესებები საგანმანათლებლო პროგრამასა თუ მოდულებში. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიმართულებით დაწესებულება ასევე აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინასწარ გაწერილი ცხრილისა და სასწავლო გეგმის დაცვით, სტუდენტთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით (მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მექანიზმით). პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, შპს „მირაჟთან“ გაფორმებული მემორანდუმით (№01-42.02, მოქმედებს 2028 წლის 31 დეკემბრამდე) განსაზღვრულია პარტნიორი კომპანიის ბაზის გამოყენება ორ პროფესიულ მოდულში. სწავლება მოიცავს თანამედროვე მეთოდოლოგიასა და დარგობრივ ტექნოლოგიებს, ხოლო სასწავლო და სამუშაო გარემო სრულად შეესაბამება შრომის უსაფრთხოების, სახანძრო და საევაკუაციო ნორმებს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური, მოიცავს განმავითარებელ და განმსაზღვრელ კომპონენტებს და რეგულირდება აპელაციისა და განმეორებითი შეფასების მკაფიო პროცედურებით. დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების შიდა ვერიფიკაციის მრავალეტაპიანი მექანიზმი, შეფასების უწყისები და მტკიცებულებები სათანადოდ ინახება 3 წლის ვადით (უწყისები – მუდმივად), ხოლო შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება სტუდენტთა შემდგომი პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა ნათია ბუთხუზმა დასვა შეკითხვა შესაბამისობის გეგმასა და მისი შესრულების ვადებთან დაკავშირებით. კერძოდ, კითხვა ეხებოდა იმას, თუ რამდენად არის დაცული კავშირი შესასყიდ მატერიალურ რესურსებსა და იმ პროფესიული მოდულების დაწყებას რომელსაც ესაჭიროება აღნიშნული ავტორიზაციის ექსპერტმა ეკა ბუთხუზმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხით ექსპერტთა ჯგუფიც დაინტერესდა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს შესაბამისი ოპერაციები ინვენტარის შესასყიდად. სასწავლო გეგმების შესწავლით დადგინდა, რომ განსაზღვრულ ვადებში ინვენტარის შესყიდვის შემთხვევაში სასწავლო პროცესს ხელი არ შეეშლება, ვინაიდან შესაბამისი მოდულები და სწავლის შედეგები ნოემბრის შემდეგ იწყება.

საბჭოს მდივანმა ნათია ბუთხუზმა დააზუსტა შესაძლო რისკების არსებობა, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ) და შესყიდვების პროცესში შესაძლოა წარმოიშვას შეფერხებები. მან იკითხა, არსებობს თუ არა დამატებითი დროითი ბუფერი იმ შემთხვევისთვის, თუკი რესურსების მოწოდება დაგვიანდება.

ავტორიზაციის ექსპერტმა ეკა ბუთხუზმა განაცხადა, რომ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული რესურსების საჭიროების მქონე მოდულები ნოემბერში არ იწყება და მათი დაწყება დაგეგმილია მოგვიანებით, ზოგ შემთხვევაში ორი-სამი თვის შემდეგ. შესაბამისად, სასწავლო გეგმა იმგვარად არის აგებული, რომ დაწესებულებას აქვს დამატებითი დრო. ეკა ბუთხუზმა დაამატა, რომ „კულინარიისა“ და „კონდიტერიის“ პროგრამების შემთხვევაში დაწესებულებას აქვს ორი C გარემო, რომელთაგან ერთი სრულად არის აღჭურვილი. შესყიდვები ეხება მეორე C გარემოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფორსმაჟორული სიტუაციის გამო შეფერხდება მეორე გარემოს აღჭურვა, დაწესებულებას შეუძლია ორცვლიანი სწავლების რეჟიმით სრულად დატვირთოს არსებული პირველი C გარემო, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

საბჭოს მდივანმა ნათია ბუთხუზმა დასვა დამატებითი შეკითხვა ვერიფიკაცია-ვალიდაციის პროცესებთან დაკავშირებით და დაინტერესდა, რამდენად გაეცნენ ექსპერტები შესაბამის ოქმებს და გამოიკვეთა თუ არა რაიმე გარემოება, რაც რეკომენდაციის გაცემას დაექვემდებარა. ავტორიზაციის ექსპერტმა ეკა ბუთხუზმა დაადასტურა, რომ აღნიშნული საკითხები

შეისწავლეს. მან აღნიშნა, რომ ოქმების შესწავლისას გამოიკვეთა თავად დაწესებულების მიერ გაცემული რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა შეფასების ინსტრუმენტების, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის ნიმუშები და შესაბამისი ოქმები, რომლებიც სრულად შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ რეგულაციებს.

